

F-567.  
1965.



საქართველოს  
თეატრების  
საერთაერთაობის  
ჟურნალი

4 1965



საქართველოს თეატრალური საზოგადოების  
გ ლ ა მ ბ ე

№ 4 (33)

F-2935.



რედაქტორი - ნინო შვანგირაძე

---

სარედაქციო კოლეგია: დ. ანთაძე, შ. აფხაიძე, ვ. გოძიაშვილი,  
ნ. გურაბანიძე, ო. ევაძე, დ. მჭედლიძე,  
ბ. ჟღენტო, ნ. შვანგირაძე, გ. ციციშვილი,  
ა. ხორავა, დ. ჯანელიძე.

---

ბ რ ძ მ ლ ა შ ი

„თანამედროვეობა თეატრში“ — ეს უაღრესად დიდი და ტევადი თემაა. რომელიც ხელოვნების თითქმის ყველა მთავარ პრობლემას მოიცავს.

უცილობელი ფაქტია, რომ ყოველი დიდი ხელოვნება თანამედროვეა. არცერთი დიდი შემოქმედი არ ყოფილა, რომ იგი თანამედროვეობის მღვლავარ პრობლემებს არ აედღეუებინოს. ამაზე მეტყველებს მსოფლიოს ხელოვნების განვითარების მთელი ისტორია. თანამედროვეობის გრძნობით სუნთქავდა ჰომეროსისა და დანტეს, ბალზაკისა და შექსპირის, ტოლსტოისა და სტენდალის, მოლიერის, იბსენის და სხვათა შემოქმედება. ამ კანონზომიერებით ვითარდებოდა ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების მთელი ისტორიაც. რუსთაველის, ილიას, აკაკის, ვეჯა-ფშაველას, ბარათაშვილის შემოქმედებაში ხიამ მთელი სისტემით გამოჩნდა იმჟამინდელი ცხოვრება. არსებითად იგივე უნდა ვთქვათ ძველ ქართულ თეატრებზეც.

მე-19 საუკუნის ქართული თეატრის მესვეურნი მუდამ იმის ცდამი იყვნენ, რომ უკეთ გამოეხატათ თავისი ხალხის ჭირ-ვარამი, მისი სისარული და მისწრაფება.

ილია და აკაკი ქართული თეატრის იდეური და პრაქტიკული ხელმძღვანელები იყვნენ და გასაგებია, რომ მათი ზრუნვის მთავარი საგანი თეატრის თანამედროვეობასთან, ცხოვრებასთან მჭიდრო კავშირის თემა იყო.

მათ სწამდათ, რომ ქართული თეატრის საფუძველთა საფუძველი მისი უღრმესი ხალხურობა უნდა იყოს. ხალხური კი მაშინ იქნება თეატრი, თუ იგი თავისი შემოქმედებით ხალხის ინტერესების გამოხატველი იქნება. ილიამ და საერთოდ მე-19 საუკუნის მთელმა კლასიკურმა მწერლობამ ღრმად იცოდა თუ რას ნიშნავდა ქართული თეატრი, იცოდა მისი როლი და ამიტომ აფრთხილებდა ყველას, რომ რა დიდი ნაკლიც არ უნდა ჰქონდეს ქართულ თეატრს, რაც არ უნდა იყოს, იგი „ჩვენის ეროვნების საჯარო ნიშანია. ეს ყველა ქართველს უნდა ანსოვდეს, თუ თავის ქვეყნის

ბედზე გულაცრუებული და გულაყრილი არ არისო“. იცოდა რა ეს დიდი ისტორიული მისია თეატრისა, ილია მეორე მხრივ თეატრს სთხოვდა, რომ უფრო აქტიურად ჩარეულიყო ცხოვრების საჭირბოროტო საკითხების გადაწყვეტაში. ილია მუდამ იმის ცდამი იყო, რომ ქართველ ხალხს კარგი თეატრი ჰქონოდა. კარგი კი, უპირველეს ყოვლისა, თეატრის თანამედროვეობაშია. იქ არის, სადაც თეატრი უკეთ ხატავს თავისი დროის არსებით მხარეებს, მისი განვითარების მთავარ ტენდენციებს. „სამართლიანად ნატრულობს ბევრი ჩვენგანი — წერდა ილია — რომ ჩვენმა ქართულმა სცენამ რაც შეიძლება ხშირად გავვიტაროს თვალწინ ჩვენის ცხოვრების ხატი და ამ ხატში გავვიხორციელოს აზრი და საგანი ასე თუ ისე მომავალ წუთისოფლისა“. ხოლო აკაკის აზრით, „სცენა სარკე უნდა იყოს ცხოვრების ავ-კარგინაობის უტყუურად მაჩვენებელი და იმავე დროს ხალხის გამწვრთნელი უმაღლესი სკოლა“.

ყოველივე ეს იმიტომ დაგვიჭირდა, რომ ერთხელ კიდევ გავიხსენოთ ქართული თეატრის საუკეთესო ტრადიცია. კარგი ტრადიცია კი ერთ წერტილზე გაყინული მკვდარი სხეული როდია. იგი მოძრავი, ქმედითი, ყოველდღიური თეატრალური ცხოვრების აქტიური შემოქმედი. დაცვა და წინსვლა — აი ეს არის მთავარი. აქ არის ტრადიციის მფეთქავი ნერვიცა და ის ახალიც, რომელიც იზრდება, ვითარდება და შემდეგ თავთ იქცევა ტრადიციად. ასეთი უწყვეტი შინაგანი კონტაქტია დიდ ტრადიციასა და ჭეშმარიტად ახალ შინაგანი დინებას. მაშინვე გარდუვალი ხდება კონსერვატორიზმიცა და ნოვატორული ჯამბაზობაც.

თანამედროვე ქართული თეატრი გარკვეულად ღრმა შინაგან პროცესებს განიცდის. არის აზრთა ჭიდილი, სტილისა და შეხედულებების სხვაობა. ეს განსაკუთრებით რელიეფურად გამოჩნდა უკანასკნელ წლებში. ეს ის პროცესია, რომელსაც არ შეიძლება რაიმე

კონკრეტული განსაზღვრული სახელი ეწოდოს, რადგან იგი ჯერ კიდევ დაუდგენელია, ჯერ კიდევ არ გამოუტრკვევია თავისი პროფილი.

საფიქრებელია, რომ უქანასკნელი წლების თეატრალურ ცხოვრებაში წამოჭრილი სიძნელეები ნაწილობრივ განაპირობა იმ გარემოებამაც, რომ ჩვენს მთავარ თეატრებში იშვიათად ვხვდებით სცენის დიდოსტატთა ნამოღვაწას. ზოგიერთი მათგანი შესაძლოა ბუნებრივად ჩამოშორდა აქტიურ შემოქმედებითს ცხოვრებას, ზოგი კიდევ სრულიად გამოუყენებელია საქართვებისამებრ და ა. შ. მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება, რომ მათ სცენაზე ისე ხშირად ვეღარ ვხვდავთ, როგორც წინათ ვხვდავდით. ვიმეორებთ, რომ ამას აქვს თავისი ლოგიკა. მაგრამ ძველის წასვლის და ახლის დამკვიდრების რთულ პროცესში თავი იჩინა ტკივილებმა, რაღაცა დაბნეულობამ და დიდი შემოქმედებითი იდეალებისადმი უნდობლობამ შეამცირა მომთხოვნელობა, თეატრს დაუკარგა სიღიადის გრძნობა ასეთ პირობებში ადვილად იკიდებს ფეხს ის, რაც ზედამიწულია. რაც მოკლებულია სიღრმეს, ფილოსოფიურ წვდომას.

ჩვენი რესპუბლიკის თეატრების მუშაკები თავისი ცხოველმყოფელი შემოქმედებით ყოველთვის იღგენ საბჭოთა კულტურის ფრონტის მოწინავეთა რიგებში. ინტერნაციონალური სულის, რევოლუციურ ბრძოლებში გამოზრდილი ჩვენი ხალხი კვლავაც ამალეებს საკუთარ ხელოვნებას, ურომლისოდაც წარმოუდგენელია ახალი ქვეყნის მშენებლობა.

სიახლის თვალსაზრისით, დღეს თეატრალურ ხელოვნებაში განსაკუთრებით იგრძნობა მისწრაფება ფორმების ძიებისაკენ. ამასთანავე ძნელი დავასახელოთ რომელიმე ისეთი თეატრი, რომელიც მთელი სიმწვევით არ ცდილობდეს, რომ თანამედროვეობის თემაზე აგებული სპექტაკლების შექმნაში უფრო აქტიური იყოს.

ჩვენმა თეატრებმა უნდა გვიჩვენონ ისეთი სპექტაკლები, რომლებიც მაყურებელს გაუზნის ახალ პოზიზონტს, ეტყვის რაღაც ახალს, სრულიად აამალეებს და გამსკვალავს პროგრესული იდეალებისაკენ მისწრაფებით.

საბჭოთა თეატრალური კულტურა არ გამოირიცხავს რეპერტუარიდან არც უანრობრივ მრავალსახეობას და არც თემატურ მრავალფეროვნებას. ჩვენი თეატრებისათვის საჭიროა კომედიაც და სატირაც, დრამაც და ტრაგედიაც. მაყურებელს იზიდავს ახალი თვალით დანახული ისტორიული პიესაც და ჩვენი ხვალინდელი, ხელშესახები ფანტასტიკაც. მაგრამ მთავარი და ძირითადი თემა, მაგისტრალური ხაზი ჩვენი თეატრების სარეპერტუარო მიმართულებისა მაინც თანამედროვეობაა. ახალი აღმანიით. თავისი ღრმა ინტელექტუალური და რომანტიკული სამყაროთი, თავისი მრავალმხრივი და მდიდარი განწყობილებით აღსავსე ცხოვრებით.

ჩვენმა თეატრებმა უფრო ფართოდ უნდა გაუღონ კარი ორიგინალურ დრამატურგიას, ხელი უნდა შეუწყონ მისი ნიჭიერი ძალების მობილიზებას. აქტიურად უნდა ჩააბან ისინი თეატრის შემოქმედებითს ცხოვრებაში.

1965 წლის 22 ოქტომბერს, თეატრალურმა საზოგადოებამ ბათუმში მოაწყო მეყურებელთა კონფერენცია.

სპექტაკლების სანახაოდ და კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად ბათუმში გაემგზავრნენ: საზოგადოების თავმჯდომარე, რესპუბლიკის სახალხო არტისტი დ. ანთაძე, საპროტა კავშირის სახალხო არტისტი ვ. გომიაშვილი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი თ. ბაქრაძე, თეატრმცოდნეები: ნ. შვანგირაძე და ვ. კიკნაძე, საქართველოს კულტურის სამინისტროს თეატრალური განყოფილების გამგე შ. კილასონიძე, ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის მთავარი მხატვარი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე კ. კუჭულაძე.

თბილისიდან ჩამოსულმა სტუმრებმა ნახეს ორი წარმოდგენა: გ. ნახუცრიშვილის „ნაცარქექია“ და ე. რაძისკის „კიდევ ერთხელ სიკვდილზე“, ხოლო ვ. კიკნაძემ დამატებითი კიდევ ორი სპექტაკლი ნახა — ვ. კანტენის და უ. ბელოვის „მკვლელები“ და კ. ბუაჩიძის „ეზოში ავი ძალია“.

კონფერენცია გახსნა საზოგადოების თავმჯდომარემ. რესპუბლიკის სახალხო არტისტიკა დ. ანთაძემ. მან დამსწრეთ გააცნო კონფერენციის მოწვევის მიზანი და დანიშნულება. სთხოვა მონაწილეობა მიეღოთ კამათში და გამოეთქვათ აზრი თეატრის მუშაობაზე.

მოხსენება — ბათუმის თეატრის ოთხი სპექტაკლი — გააკეთა ვ. კიკნაძემ.

პირველი სპექტაკლი, რომელიც გააჩნია მომხსენებელმა. იყო ვ. კანტენის და უ. ბელოვის „მკვლელები“.

პიესა ასახავს ამერიკის ცხოვრებას. იგი მამართულია ობიექტული საზოგადოების წინააღმდეგ და პროტესტს უცხადებს ამ რუტინას. აქ არაფერ არ იბრძვის კაცის მკვლელის აღმოსაჩენად და დასასჯელად. ეს იმპრო, რომ საზოგადოება ინერტულია. შეპყრობილია შიშით, ხოლო პიესის გმირი სტენდლი, რომელიც აქტიური მეტროპოლი უნდა იყოს,

შეგუებულია არსებულ მდგომარეობას. იგი კეთილია. მეტისმეტად პასიურია. ამ საზოგადოებას კი ასეთი კაცი ვერ შეებრძოლება. პიესა სიფიზისიკენ მოუწოდებს მეყურებელს. იგი დაწერილია დიადი. საღი მოქალაქეობრივი პათოსით.

სპექტაკლის რეჟისორია თ. აბაშიძე. მასში სწორედ ეს ხაზი — მეტროპოლი მოქალაქეობრივი მოვალეობა წამოწეული წინა პლანზე. იგი ბრალს სდებს შეგუების პრინციპს, რასაც ვხედავთ სპექტაკლის ყოველ დეტალში. მთლიანად სპექტაკლში შექმნილია ფსიქოლოგიური სიმართლის ატმოსფერო.


მსახიობები თ. სულთანაშვილი, ლ. ყარასაშვილი, ა. ტაკიძე, გ. გოგიბერიძე და სხვები დიდი გულწრფელობით და სიმართლით გადმოსცემენ პიესის პერსონაჟების ხასიათებს. წარმოდგენა ლაკონურია, სადაა და ემოციური.

კ. ბუაჩიძის პიესა „ეზოში ავი ძალია“ სატირული კომედიაა. იგი დაწერილია მძაფრი მამხილებელი საშუალებებით. მასში მხილებულია ჩვენს სინამდვილეში შემორჩენილი მანკიერი მოვლენები. განსაკუთრებული სატირული სიმძაფრით არის დახატული უსახელო წერილების შემთხვევლ ლაითაძის სახე.

პიესაში მრავალი საინტერესო პერსონაჟია და მსახიობებსაც ძალიან საინტერესო და მკვეთრი სახეები შეუქმნიათ (ლაითაძე — ხ. მეგრელიძე, ფოფია — ნ. თეთრაძე, რუბენ მინელოვი, — რ. კაკაუროძე, ვარვარა პეტროვა — თ. სულვანიშვილი). განსაკუთრებით საინტერესოა მ. შერვაშიძის მიერ მოცემული ჩინაჩიძის სახე.

პიესის დამდგმელი რეჟისორი შ. ინსარაძე პიესას რეალისტური ხერხითა და პრინციპით მიუხდა.

გ. ნახუცრიშვილის პიესა „ნაცარქექია“ ცნობილი ხალხური საბავშვო ზღაპრის მიხედვით არის დაწერილი. ეს ზღაპარი მრავალგზის იქნა დამუშავებული ჩვენს მწერლობაში. გ. ნახუცრიშვილმა კი მას განსაკუთრებით



ცოცხალი რეალისტური ფორმა მოუძებნა. ეს არის ნაცარქექიას შესანიშნავი რეალისტური ნიღაბი. მსახიობ შ. გეგაძის მიერ შექმნილი ნაცარქექია ახლო დგას ხალხურ ფოლკლორში ცნობილ ტიპთან, იგი ყურადღებას იქცევს გონებაში ახვილობითა და იუმორით.

გამარჯვების იღის კეთილი საწყისი ამ სპექტაკლს განსაკუთრებით საინტერესოს ხდის ბავშვებისათვის. მკვეთრი, ცოცხალი სახეები შექმნეს მსახიობებმა ნ. წერეთელმა, ი. ზოიძემ, ო. მეგრელიძემ, ს. მიქელაძემ და სხვებმა. რეჟისორ თ. აბაშიძეს ძალიან კარგი და საინტერესო ხერხები გამოუჩინა. ამიტომაც სპექტაკლი ნორჩ მაყურებლებს ძალიან მოსწონთ.

ე. რაჭინსკის პიესა „კიდევ ერთხელ სიყვარულზე“ დადგა დიპლომანტმა რეჟისორმა ე. ჩხეიძემ. სპექტაკლში მოძებნილია საინტერესო ფსიქოლოგიური ინტონაციები. წარმოადგენს აქვს ერთი მთლიანი რიტმი და გარკვეული კომპოზიციური დასრულება. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ლ. ყარასაშვილის მიერ შექმნილი სახე. იგი უშუალოდით გამოირჩევა. მსახიობს საინტერესოდ ესმის და გადმოგვცემს გმირის რთულ სახეს. მას კარგ პარტიზრობას უწევს ა. ტაკიძე, იგი ევდოკიმოვის როლს დამაჯერებლად ასრულებს. ტუნწი, ლაკონური საშუალებებით გადმოგვცემს გალიას სახეს მსახიობი ნ. საყანდელიძე. ამ სპექტაკლში აღსანიშნავია ახალგაზრდათა და უფროსი თაობის მსახიობთა შეხმატბილებული მუშაობა. სპექტაკლის მხატვრობა პირობითია. მაგრამ მხატვრები ა. ფილიპოვი და ვ. დოდოლაძე სადა და გამოხატველი საშუალებებით ხელს უწყობენ სპექტაკლის წარმატებას.

ყველა ამ სპექტაკლის ნახვამ ნათელი გახადა თეატრის შემოქმედებითი ზრდა და მისწრაფება — ცხოვრებას კვალდაკვალ გაჰყვეს. თეატრი არ იძირება წერილში თემებში. იგრძნობა ანსამბლის ერთიანობა და დიდი ინტერესი და მისწრაფება სპექტაკლების კულტურის ამაღლებისათვის, მსახიობთა დიდი დაინტერესება და დაუღალავი შრომა. ყოველივე ეს კი თეატრის საშუალებას უქმნის ხელი მოჰკიდოს დიდ კლასიკურ წარწარმოებთა განხორციელებას. თეატრს აქვს ამისი ძალა. გამოცდილება და საშუალება.

კ. კუჭულაძე ძირითადად სპექტაკლების დეკორატიულ გაფორმებას შეეხო. მან ილაპარაკა გ. ნახტურიშვილის „ნაცარქექიას“ და

ე. რაჭინსკის პიესის („კიდევ ერთხელ სიყვარულზე“) გაფორმებაზე. მოიწონებოდა სპექტაკლის დეკორაციები. ოლინდ უნდა იყოს, რომ „ნაცარქექიაში“ დევების ბუნაგის დეკორატიულ გაფორმებაში აღრეულია რეალისტური და მოდერნისტული ელემენტები.

თ. ბაქრაძემ აღნიშნა, რომ თეატრს თბილისში ჩატარებული უკანასკნელი გასტროლების შემდეგ დიდი წონსვლა ეტყობა. მას შემატებია ბევრი ახალი და ნიჭიერი მსახიობი, რომელთა მუშაობაც მაღალ პროფესიულ დონეზე დგას. რეჟისორ თ. აბაშიძეს მსახიობების წინაშე რთული ამოცანა დაუყენებია — თვითელმა მსახიობმა პიესა „ნაცარქექიაში“ ირიც ამ სამი სახე უნდა განჩახორცილოს. მსახიობებმა ეს რთული ამოცანა მართლაც შესანიშნავად დაძლიეს. განსაკუთრებით გვინდა აღვნიშნოთ ნ. წერეთელი, რომელიც კერძოდ მართლაც შედევრად ყავლანის მეუღლის როლებს ასრულებს. მსახიობს ისეთი გარდასახვისათვის მიუღწევია, რომ მაყურებელი, თუ პროგრამას არ წაიკითხავს, ვერ მიხვდება, ეს ერთი და იგივე მსახიობია, თუ სხვადასხვა. იგივე იქმის ყავლანის და მეფის როლის შემსრულებელ მსახიობ ხ. მეგრელიძეზე, რომელიც კერძოდ მსუქან და ხრინწიან ყავლანად და შემდეგ გამხდარ და წრიბინა მეფედ მოგვევლინა. „ნაცარქექიას“ შემსრულებელი შ. გეგაძე და სხვა როლების შემსრულებელნიც (დევი — მიქაძე, მ. შერვაშიძე, ი. ზოიძე და სხვანი) დიდ მხატვრულ დამაჯერებლობას აღწევენ. ამ სპექტაკლში ყველა ქართული კილოთი მტკიცელებს. მაგრამ ზოგჯერ ეს კილო ირდევება და ყურს სჭრის ასეთი სიტყვები: იმიზა, რაფერ, იქედან. მაგენი და სხვ.

მეორე პიესის — ე. რაჭინსკის „კიდევ ერთხელ სიყვარულზე“ — დადგმით დიპლომანტ რეჟისორს ე. ჩხეიძეს და მსახიობთა კოლექტივს საინტერესო და კარგი სპექტაკლი შეუქმნიათ. მაგრამ მსახიობებმა მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ ქართულ ენას. მის ლოგიკურ მახვილებს და ზოგიერთ ბგერათა სწორ წარმოთქმას. არასგზით არ შეიძლება ისეთი რბილი — ლს წარმოთქმა. რომელსაც მთელი სპექტაკლის მანძილზე ვისმენთ რადიოთი.

კარგი იქნება თუ ამ ტექსტს დიქტორის მსახიობი ხელმეორედ ჩასწერს და ამ ნაყას თავს აბრუნებს.

საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტმა ვ. გომიშვილმა მოიწონა ორივე სპექტაკლი — „ნაცარქექია“ და „კიდევ ერთხელ სიყვარულზე“



ზე“. „ნაცარქექიაში“ ყველა მსახიობი კარგია. ისინი მხატვრულ დიქციონერებლობას აღწევენ. მაგრამ თვით ნაცარქექიას როლის შემსრულებელს შ. გეჯაძეს როლი სულ ერთი ხაზით მიჰყავს. იგი თავიდანვე ჭკუამახვილი და ცოცხალი ბუნების ადამიანად გვევლინება, მაშინ, როცა მას პირველ მოქმედებაში იმიტომ უჭაგრდებიან, ლანძღავენ და შინიდანაც კი აგდებენ. რომ ძალიან ზარმაცია, ადგილიდან დაძვრა ეზარება. ხელს არ გაანძრევს, ზანტად დაიზღაზნება. ოჯახიდან გაგდების შემდეგ კი ცხოვრების გამოცდილება გააუშმაკებს მას, გამოაცოცხლებს. ჭკუამახვილიც ხდება და ამით გააქვს თავი. თუ მსახიობის ტემპი დასაწყისში ნელი და ზანტია. ბოლოს ცოცხალი და მკვირცხლიც კი ხდება. ვ. გომიანიშვილმა მოიწონა ხ. მეგრელიძის და ნ. წერეთლის გარდასახვის უნარიანობა. აღნიშნა სხვა მსახიობთა კარგი ნამუშევარიც.

შ. კილოსანიძემ მოიწონა თეატრის მუშაობა, რეპერტუარი და აღნიშნა კოლექტივის შემმატებელი მუშაობა.

ნ. შვანიგრიძემ თქვა, ამ თეატრის რეპერტუარში დიდი ადგილი აქვს დათმობილი თანამედროვე დრამატურგიას. მაგრამ მსახიობთა შემადგენლობა იძლევა იმის საშუალებას, რომ ყოველ სეზონში ერთი ახალი კლასიკური ნაწარმოებიც დადგან. აჭარელი მწერლის სამსონიას პიესა დიდი წარმატებით იდგმება და, რასაკვირველია, თეატრის ვალია მეტი ყურადღებით მოეპყრას ადგილობრივ დრამა-

ტურგთა პიესებს. ორატორმა სპექტაკლებში მსახიობთა მუშაობა.

გ. ბოკერიამ — ელექტრომექანიკური ქარხნის მუშამ — მადლობა გადაუხადა თეატრალურ საზოგადოებას და ჩამოსულ სტუმრებს ასეთი საინტერესო კონფერენციის მოწყობისათვის და თქვა, რომ კარგი იქნება, თუ თეატრის შემოქმედებითი კოლექტივი მომავალში უფრო ახლო იქნება ბათუმის ინტელიგენციასთან, მის მაყურებელთან და მათს აზრს მეტ ანგარიშს გაუწევს. ბოკერიამ გააკრიტიკა ზოგიერთი მსახიობის მიერ შექმნილი სახე.

აჭარის ასრ მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ ფრიდონ ხალვაშმა კმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ ჩამოსულმა სტუმრებმა ასე გულწრფელად გამოთქვეს თავიანთი აზრი თეატრის მუშაობაზე. გარდა ამისა, მან დამსწრეთ მოუთხრო, თუ ამ ბოლო დროს როგორ განმტკიცდა ბათუმის მწერალთა და თეატრის ურთიერთობა. თეატრის რეპერტუარშია ლორიას. შერვაშიძის, სამსონიას პიესები და მომავალში ეს ურთიერთობა ალბათ უფრო განმტკიცდება. მწერლები მხარში ამოუდგებიან თეატრს.

დასასრულს თეატრის დირექტორმა შ. დავითაძემ დიდი მადლობა გადაუხადა სტუმრებს, კამათის მონაწილეებს, დამსწრე საზოგადოებას და მათ დაჰპირდა, რომ თეატრი ყველა შენიშვნას გაითვალისწინებს შემდგომ მუშაობაში.



მიმდინარე წლის 25 — 27 ოქტომბერს საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ ქ. ზესტაფონში მოაწყო ზესტაფონის უ. ჩხეიძის სახელობის სახალხო თეატრის სპექტაკლების დათვალიერება. თეატრალურმა საზოგადოებამ აღნიშნულ დათვალიერებაში მონაწილეობის მისაღებად მიავიღა რესპუბლიკის სახალხო არტისტი, რეჟისორი პავლე ფრანგიშვილი და თეატრმცოდნე მავალა ცხომარია. ზესტაფონის სახალხო თეატრმა დათვალიერებაზე წარმოადგინა სამი სპექტაკლი — დ. კვიციანიძის „თოვლიან ღამეს“, ს. მხარგრძელის „ახალი მისამართი“ და ო. დგებუაძის „ოთხი სივითი“.

ქალაქ ზესტაფონში 1948 წლამდე არსებობდა სახელმწიფო თეატრი. 1961 წ. ჩამოყალიბდა სახალხო თეატრი, რომელსაც 1964 წ. დიდი ქართველი მსახიობის უ. ჩხეიძის სახელი მიენიჭა. ქალაქი მეტისმეტად თეატრალურია და საკმაოდ მყარი თეატრალური ტრადიციები აქვს.

თეატრალური საზოგადოების ინიციატივით მოწყობილი დათვალიერების პერიოდში ზესტაფონის სახალხო თეატრმა ვერ შესძლო სრულყოფილად ეჩვენებინა თავისი შემოქმედებითი შესაძლებლობა. რეპერტუარში ჰქონდა სუსტი, სცენურად გაუმართავი ნაწარმოებები. არცერთი პიესა არ იქცეოდა ყურადღებას და ამდენად მსახიობსაც ვერ უქმნიდა სახარბიელო გარემოებას.

აღნიშნული სამივე სპექტაკლის დადგმა

ეკუთვნის ამავე თეატრის რეჟისორს ა. გუბაღიძეს. სპექტაკლებში გვხვდება ტავტოლოგია, არის ენობრივი დამახინჯებები; ყოველთვის ვერ არის დაცული სცენური მოქმედების ლოგიკა და წარმოდგენის მსველელობის დროს სკარბობს ტექსტის კითხვის ელემენტები, თუმცა, უნდა ითქვას, რომ ზესტაფონის სახალხო თეატრში ბევრია ნიჭიერი სცენისმოყვარე: შ. ფოცხვერაშვილი, ნ. წერეთელი, გ. ხარატიშვილი, ა. არაბიძე, ნ. ჭანჭვეტაძე, ე. ბეჟუაშვილი, რ. ნებეირიძე, რ. მჭედლიძე, ა. გუმბელიძე, რ. ლულუნიშვილი, ლ. ბუაჩიძე, და სხვები. ესენი საქმის ენთუზიასტები არიან და დიდი სიყვარულით მუშაობენ.

ზესტაფონის სახალხო თეატრს ჰყავს კარგი ახალგაზრდობა: ლ. თავაძე, ა. სოფრომაძე. ამ ახალგაზრდებს კარგ სცენურ გარეგნობასთან ერთად აქვთ საქმისადმი დიდი სიყვარული და კეთილსინდისიერება.

თეატრალური საზოგადოების მიერ მივლენებული ამხანაგები სპექტაკლების დათვალიერების შემდეგ შეხვდნენ მთელ დასს და თეატრის ბედით დაინტერესებულ ადამიანებს, გაუზიარეს მათ თავიანთი შთაბეჭდილებები და შენიშვნები. ამ შეხვედრის დროს ხაზგასმით აღინიშნა, რომ ზესტაფონის უ. ჩხეიძის სახელობის სახალხო თეატრს ბევრი კარგი საქმის გაკეთება შეუძლია. თუ კი მას დახმარებას გაუწევენ როგორც სათანადო ორგანოები, ისე ადგილობრივი ხელმძღვანელობა.

### რესპუბლიკური გამოფენა

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს თეატრალური საზოგადოების, მხატვართა კავშირისა და სურათების სახელმწიფო გალერეის ინიციატივით 1965 წლის 10 ოქტომბერს სურათების გალერეაში გაიხსნა საქართველოს თეატრისა და კინოს მხატვართა რესპუბლიკური გამოფენა.

გამოფენა გახსნა მხატვართა კავშირის თავმჯდომარემ ზ. ლუკავამ. სიტყვები წარმოთქმეს: თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარემ, რესპუბლიკის სახალხო არტისტმა დ. ანთაძემ, ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ დ. თავაძემ, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორმა დ. ჯანელიძემ, ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ო. ევაძემ, ავრეთე მუსკოვის, აზერბაიჯანის, სომხეთის წარმომადგენლებმა.

გამოფენაზე, რომლის გახსნაც დაემთხვა ამიერკავკასიის რესპუბლიკების თეატრისა და კინოს მხატვართა თათბირის დღეებს, წარმოდგენილი იყო 60-მდე ოსტატის 600-მდე ნამუშევარი, რომლებიც შექმნილა ჩვენი საუკუნის 20-იანი წლებიდან მიმდინარე თეატრალურ სეზონამდე. მათ შორის: ვ. სიღამონერის თავის, პ. ოცხელის, ი. გამრეკელის, ე. ახვლედიანის, ლ. გულიაშვილის, ლ. კაკაბაძის, ი. აბაკელიას, ს. ვირსალაძის, ს. ქობულაძის, ი. შტენბერგის, ი. სუმბათაშვილის, დ. თავაძის, ფ. ლაპიაშვილის და სხვა ბევრი ახალგაზრდა მხატვრის ესკიზები, კოსტუმები, ტიპაჟები.

11-დან 13 ოქტომბრამდე კი რუსთაველის თეატრის მცირე დარბაზში მიმდინარეობდა კონფერენცია ამიერკავკასიის თეატრისა და კინოს მხატვრებისა, რომელიც შესავალი სიტყვით გახსნა სსრკ სახალხო მხატვარმა უჩა ჯაფარიძემ. მისასალმებელი სიტყვები წარმოთქმეს საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარემ რესპუბლიკის სახალხო არტისტმა დ. ანთაძემ. კარლო გვოძემ. მოხსენება — „თანამედროვე სექტაკლების და კინოფილმების გაფორმების პრინცი-

პი“ — გააკეთა ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატმა მ. ნ. პოჟარსკიამ. 1966 წლის მხატვარ-დეკორატორების საკავშირო გამოფენის შესახებ ილაპარაკა ბ. კნობლოვმა.

მოხსენება — „საქართველოს თეატრისა და კინოს მხატვრების ნამუშევრები უკანასკნელი სამი წლის მანძილზე“ — გააკეთა რეჟისორმა ო. ანდრონიკაშვილმა. ხოლო სომხეთის თეატრისა და კინოს მხატვრების უკანასკნელი სამი წლის ნამუშევრებზე ილაპარაკა დ. ა. ხალათიანმა.

12 ნოემბრის სხდომაზე სიტყვები წარმოთქმეს აზერბაიჯანის ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ი. სეიდოვმა, ანდრონიკიანმა (ერევანი), უზბეკეთის სახალხო მხატვარმა ვ. რიფტიმამ, მხატვარმა ე. მაჭავარიანმა, აზერბაიჯანის ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ რზაკულიავამ, საქართველოს ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ დ. თავაძემ, უკრაინის თეატრისა და კინოს სექციის თავმჯდომარემ ა. ფ. პონომარენკომ, ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ი. ურუშაძემ, ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ კ. კუკულაძემ და რესპუბლიკის სახალხო მხატვარმა ე. ახვლედიანმა.

13 ოქტომბრის სხდომაზე სიტყვები წარმოთქმეს: მ. მ. კურილკომ (მოსკოვი), რეჟისორმა მ. გაიმიყრელმა, აზერბაიჯანის სახალხო მხატვარმა ი. ახუნდოვმა, საქართველოს დამსახურებულმა მხატვარმა თ. თავაძემ, ელ. რაჟიტინმა და ზაიცევა (მოსკოვი). კონფერენციის მუშაობა შეაჯამა ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატმა მ. ნ. პოჟარსკიამ.

3 ნოემბერს, საქართველოს სურათების გალერეაში მოეწყო საქართველოს თეატრისა და კინოს მხატვრების გამოფენის განხილვა, რომელიც გახსნა საქართველოს მხატვართა კავშირის თავმჯდომარის მთადგილემ, რესპუბლიკის დამსახურებულმა მხატვარმა ე. მემარიასვილმა.

მოხსენება გააკეთა ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატმა გ. ალიბეგაშვილმა.




გამოფენის განხილვაში მონაწილეობდნენ საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარე, რესპუბლიკის სახალხო არტისტი დ. ანთაძე, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე დ. თავაძე, ლენინგრადის ხელოვნების სახლის დირექტორი მ. იანკოვსკი, ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი ი. ურუშაძე, სურათების გალერეის დირექტორი მხატვარი მ. ყიფიანი, საქართველოს დამსახურებული მხატვარი კ. ჭანკვეტაძე.

კამათში გამოსულთ მოიწონეს მხატვრების ს. ვირსალაძის, ი. სუმბათაშვილის, დ. თავა-

ბის: დ. ნოდის, თ. სამსონაძის, ა. სლოვინსკის, ი. ჩიკვაიძის, თ. შურვანიძისა და სხვათა ნამუშევრები.

მ. იანკოვსკიმ ილაპარაკა ი. გამრეკელის, პ. ოცხელის, ე. ახვლედიანის, ვ. შუხაევის, ს. ვირსალაძის, ს. ჭობულაძის შემოქმედებაზე. აღნიშნულმა მხატვრებმა დიდი წვლილი შეიტანეს საბჭოთა თეატრისა და კინოხელოვნების განვითარებაში.

ინვარში თეატრისა და კინოს ქართველი მხატვრების ნამუშევართა გამოფენა გაიხსნება ლენინგრადის ხელოვნების სახალხო უნივერსიტეტში.



გორის თეატრალური ცხოვრების მატანივ 1865 წლის ივლისიდან იწყება, როდესაც ადგილობრივ სცენისმოყვარეთა ძალებით წარმოადგინეს ახალი ქართული რეალისტური თეატრის ფუძემდებლისა და დრამატურგის — გ. ერისთავის კომედია „ძუნწი“.

1873 წლიდან წარმოდგენები სისტემატურად იმართებოდა. მაშინ სპექტაკლების გამართვით სოფრომ მაგლობლიშვილიც დაინტერესებულა, შემოუტრებია ახალგაზრდობა და საქმე მყარ ნიადაგზე დაუყენებია. სწორედ ამ წრიდან არის გამოსული ნატო გაბუნიაც, გორში წარმოდგენებს ნიკო ლომოურიც მართავდა. იქვე დაიბადა და მოღვაწეობდა ცნობილი დრამატურგი ზურაბ ანტონოვი.

პირველი იმპერიალისტური ომის წლებში გორის სათეატრო საქმეს სათავეში ჩაუდგა დრამატურგი ნიკო შიუკაშვილი.

გ. ერისთავის მიერ მკვიდრად ჩაყრილ საფუძველზე საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ჩამოყალიბდა სცენისმოყვარეთა წრე, რომელიც მუშათა თეატრად გადაკეთდა.

1934-35 წლების სეზონში გორის მუშა კლუბის ბაზაზე ჩამოყალიბდა პროფესიული თეატრალური კოლექტივი, რომელსაც ალექსანდრე ალაზნისპირელი ხელმძღვანელობდა. ხოლო 1939 წელს გორის თეატრის დირექტორად და სამხატვრო ხელმძღვანელად ინიშნება პავლე ფრანგიშვილი, რომელთან ერთად იწყებენ ს. ვაჩნაძეს და რეჟ. ო. ალექსიშვილს.

1939 წელსვე გაიხსნა გორის სახელმწიფო თეატრის ახალი შენობა, სადაც პირველად წარმოადგინეს ი. გედევანიშვილის პიესა „გადასასვლელზე“.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში გორის თეატრი რესპუბლიკის ერთ-ერთ მძლავრ შემოქმედებით კოლექტივად გადაიქცა. ქართული საბჭოთა თეატრის რეალისტური პრინციპებით გამსჭვალული ბევრი მისი სპექტაკლი პროულარული გახდა.

1965 წლის 27 ნოემბერს საქართველოს თე-

ატრალურმა საზოგადოებრიობამ დიდი ზეინით აღნიშნა გორის გ. ერისთავის სახელობის სახელმწიფო თეატრის 100 წლისთავი.

ქალაქი სადღესასწაულოდ არის მორთული. მთავარ მოედანზე გახსნილია ქალაქ გორისა და გორის რაიონის სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის მიღწევათა გამოფენა. ლამაზ პავილიონებში გამოფენილია ბამბულის კომბინატის, ხელსაწყოთმშენებელი და საკონსერვო ქარხნების პროდუქცია, ნაჩვენებია ხურვალეთისა და ქიწინის საბჭოთა მეურნეობების, ხელოვნების, ტყეიავის, ფლავის, ახალუბნისა და სხვა სოფლების კოლმეურნეთა შრომის ნაყოფი. ღია ესტრადაზე გამოდიან მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივები.

სალამოს კი თეატრის შენობა ხალხით გაიქედა. სცენის სიღრმეში დაფნის გვირგვინში მოჩანს ციფრები: „1865 — 1965“.

საზეიმო საღამო გახსნა საქართველოს სსრ კულტურის მინისტრმა, რესპუბლიკის სახალხო არტისტმა ო. თაქთაქიშვილმა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მთავრობის სახელით გორის თეატრის კოლექტივს მიესალმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი დ. სტურუა. თეატრის შემოქმედებითი გზის შესახებ მოხსენება წაიკითხა ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორმა, პროფესორმა დ. ჯანელიძემ.

საქართველოს დედაქალაქის თეატრალური საზოგადოების სახელით იუბილარს გულთბილად მიესალმნენ სსრ კავშირის სახალხო არტისტი ვ. გომიაშვილი და საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარე, რესპუბლიკის სახალხო არტისტი დ. ანთაძე.

რუსთაველის, მარჯანიშვილის, გრიბოედოვის სახელობის თეატრების, აგრეთვე ქუთაისის, სოხუმისა და ცხინვალის თეატრების წარმომადგენლებმა იუბილარს მთავრად მისასალმებელი მიმართვები და სამახსოვრო საჩუქრები.



საქართველოს  
წიგნების  
წარმოქმნის  
და გავრცელების  
კავშირის  
კავშირის  
კავშირის

იუბილარს აგრეთვე მიესალმნენ საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანი ბ. ჟღენტე, საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარე, სსრ კავშირის სახალხო არტისტი ა. მაჭავარიანი, საქართველოს მხატვართა კავშირის თავმჯდომარე ზ. ლევადა, გორის რაი-საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე მ. მახარაშვილი, გორის ბარათაშვილის სახე-ლობის პედაგოგიური ინსტიტუტის პროფე-სორი ს. გაჩეჩილაძე და გორის ბამბეულის კომბინატის პროფკავშირის კომიტეტის თავ-მჯდომარე ი. კობერიძე.

გორის თეატრის კოლექტივის სახელით სი-

ტყვა წარმოთქვა რესპუბლიკის წესდების  
ტისტმა შ. ხერხეულიძემ.

იუბილარის სახელზე მრავალი მისსალმე-ბელი დეპეშა მოვიდა. ზოგიერთი დეპეშა წაი-კითხა კულტურის მინისტრმა ო. თაქთაქი-შვილმა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრე-ზიდიუმის მდივანმა ზ. კვაჭაძემ წაიკითხა რეს-პუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება გორის თეატრის მსახიობებისა და თანამშრომლების დიდი ჯგუფისათვის სა-პატიო წოდებათა მინიჭებისა და საპატიო სი-გელვებით დაჯილდოების შესახებ.

**ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა  
საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ**

ქართული თეატრალური ხელოვნების გან-ვითარებაში დამსახურებისათვის, გორის გ. ერისთავის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის დაარსების ასი წლისთა-ვან დაკავშირებით მიენიჭოთ საპატიო წოდება:

საქართველოს სსრ სახალხო არტისტისა

ხერხეულიძეს შალვა იოსების ძეს-საქართვე-ლოს სსრ დამსახურებულ არტისტს.

საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურე-ბული მოღვაწისა:

1. აბრამიშვილს გიორგი იოსების ძეს — მთავარ რეჟისორს.
2. ნავროზაშვილს გედევან ივანეს ძეს — დირექტორს.

საქართველოს სსრ დამსახურებულ მო-მხატვრისა:

ხუციშვილს შოთა სიმონის ძეს — მთავარ მხატვარს

საქართველოს სსრ დამსახურებულ არ-ტისტისა:

1. არაქელავს ერვანდ არუთინის ძეს — მსახიობს.

2. ბახტაძეს მარიამ დიმიტრის ასულს — მსახიობს.
3. ბერუაშვილს ვიქტორია ივანეს ასულს — მსახიობს.
4. ბოჭორიშვილს ქეთევან გაბრიელის ასულს მსახიობს.
5. კალანდარიშვილს ალექსანდრე ლევანის ძეს მსახიობს.
6. კიკნაძეს შოთა სერგის ძეს — მსახიობს.
7. ტატიშვილს სერგო მელქოს ძეს — მსახიობს.
8. ცაბაძეს როზალია ალექსანდრეს ასულს — მსახიობს.
9. ხუბიეროვს (მცხეთელს) ერვანდ სერგის ძეს მსახიობს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს

პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს

პრეზიდიუმის მდივანი ი. კვაჭაძე.

თბილისი, 1965 წლის 26 ნოემბერი.



ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს კრედიტული საპარტეზლო სსრ უმაღლესი საბჭოს კრედიტული საპარტეზლო დაჯილდოების შესახებ

გ. ერისთავის სახელობის გორის სახელმწიფო დრამატული თეატრის დაარსების ასი წლის-  
თავთან დაკავშირებით დაჯილდოვდნენ:

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს  
პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:

- |   |  |
|---|--|
| 1. ბასიშვილი გიორგი მიხეილის ძე —<br>მსახიობი.                | 13. მარსაგაშვილი ვალერიან ნიკოლოზის ძე —<br>მსახიობი.  |
| 2. ბეროზაშვილი ნინო გიორგის ასული —<br>მსახიობი.              | 14. მოსიაშვილი კარლო ლევანის ძე —<br>ლირექტორის მოადგილე.  |
| 3. გელაშვილი ვახტანგ დავითის ძე —<br>მსახიობი.                | 15. მოციქულაშვილი ეთერი გიორგის ასული —<br>მსახიობი.   |
| 4. გრიჭოროვი სტეფანე იოსების ძე —<br>მსახიობი.                | 16. მჭედლიშვილი იროდიონ არჩილის ძე —<br>მხატვარი.  |
| 5. დათუნაშვილი ოთარ ვასილის ძე —<br>მსახიობი.                 | 17. ნოზაძე მარიამ ლუკას ასული —<br>მსახიობი.   |
| 6. დენისაშვილი გიორგი ილიას ძე —<br>მსახიობი.                 | 18. ულენტი ფატი კოსტანტინეს ასული —<br>სარეჟიზიტო საამქროს გამგე.  |
| 7. ზაღდასტანიშვილი ნინო ვასილის ასული —<br>მსახიობი.          | 19. სელიანოვი ლუსია არშაკის ასული —<br>მსახიობი.   |
| 8. იუდევიჩი ბორის მიხეილის ძე —<br>პიანისტი-კონცერტმეისტერი.  | 20. ჩრდილელი ამირან ნიკოლოზის ძე —<br>სადადგმო ნაწილის გამგე.  |
| 9. კავსაძე ქეთევან გიორგის ასული —<br>გარდერობის გამგე.       | 21. ცერცვაძე ოთარ არჩილის ძე —<br>სცენის უფროსი მემანქანე  |
| 10. კახიაშვილი ვასილ ილიას ძე —<br>მსახიობი.                  | 22. ჭვარაძე შოთა ვახტანგის ძე —<br>გორის მშრომელთა დეპუტატების<br>საქალაქო საბჭოს აღმასკომის<br>კულტურის განყოფილების გამგე. |
| 11. კიკნაძე ნათელა იასონის ასული —<br>მთავარი აღმინისტრატორი. |  |
| 12. მანაგაძე ნიკოლოზ მარკოზის ძე —<br>მკერავი ინსტრუქტორი.    |  |

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.  
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1965 წლის 26 ნოემბერი.

სალამოს დასასრულს წარმოდგენილ იქნა გორის თეატრის სპექტაკლები — გ. ერისთავის „გაყრის“, ვ. ქარჩხაძის „დევიძეების ოჯა-

ხის“ და ა. ბრუნშტეინის „ტრისტან და იზოლდას“ სცენები.



მოღვაწეობის 50 წელი

ქართული საბჭოთა თეატრისა და კინოს გამოჩენილ მოღვაწეს, სსრ კავშირის სახალხო არტისტს, სახელმწიფო პრემიის ლაურეატს, პროფესორ აკაკი ხორავას 70 წელი შეუსრულდა.

აკაკი ხორავას, ამ უაღრესად ფართო მასშტაბისა და დიდი დრამატული ძალის მსახიობის სახელი დიდხანია არათუ საქართველოს, არამედ საბჭოთა ქვეყნის ფარგლებსაც გასცდა.

აკაკი ხორავამ ქართულ საბჭოთა თეატრში მთელი ეპოქა შექმნა. უწინარეს ყოვლისა, სწორედ მის სახელთან არის მჭიდროდ დაკავშირებული ის გმირულ-რომანტიკული სულისკვეთება. რაც სანდრო ახმეტელმა ჩვენს სცენაზე დაამკვიდრა და რუსთაველის თეატრის სახელოვან ტრადიციად, მაგისტრალურ ხაზად, შემოქმედების მხატვრულ მრწამსად აქცია. ხორავას ანზორი, კარლ მოორი, არსენა ქართულ თეატრში დიდ რევოლუციურ შემართებას, დიდ და ღრმა ხასიათებს, ტირანიისა და ცხოვრების უკუღმართობის წინააღმდეგ მგზნებარე პათოსს ნიშნავდა.

მაღლიერმა ქართველმა ხალხმა 1 ნოემბერს რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრში ამ დიდი საბჭოთა მსახიობის დაბადების 70 და შემოქმედებითი მოღვაწეობის 50 წლისთავი იხეიმა.

საიუბილეო საღამო საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ. თეატრალურმა საზოგადოებამ და რუსთაველის სახელობის თეატრმა მოაწვეეს. იგი შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ კულტურის მინისტრმა, კომპოზიტორმა ო. თაქთაქიშვილმა.

მოსვენებით გამოვიდა საქართველოს მწვერალთა კავშირის მდივანი, კრიტიკოსი ზ. ულენტი. მან დაწვრილებით ილაპარაკა აკაკი ხორავას შემოქმედებასა და მოღვაწეობაზე, იმ დიდ როლზე, რომელიც ხორავამ ქართული თეატრალური ხელოვნების განვითარებაში შეასრულა.

მოსვენების შემდეგ დაიწყო მილოცვები.

სიტყვები წარმოთქვეს: საქართველოს თეატრალური საზოგადოების, საქართველოს ყველა თეატრალური კოლექტივის სახელით — საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარემ, რესპუბლიკის სახალხო არტისტმა დ. ანთაძემ, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სახელით — აკადემიკოსმა გ. ახვლედიანმა. ქართველი ახალგაზრდობის სახელით — საქართველოს ალკე ცენტრალური კომიტეტის მდივანმა რ. მეტრეველმა, ქართველ მხატვართა სახელით — სსრკ სახალხო მხატვარმა უ. ჯაფარიძემ, კინომუშაკთა სახელით — საქართველოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ გ. ვიგოლაშვილმა და კინოსცენარისტმა ე. გოგოძემ, კომპოზიტორთა კავშირის სახელით — პროფესორმა პ. ხუჭუბაძემ, მოზარდმუსიკებელთა თეატრის სახელით — რესპუბლიკის სახალხო არტისტმა გ. კუპრაშვილმა.

აკაკი ხორავას ორიგინალურად, თავისებურად მიესალმა მხატვარი-კარიკატურისტი გ. ფირცხალავა. მან იქვე სცენაზე დახატა მსახიობის ცეგობრული შარკი.

აკაკი ხორავას ნიჟს მრავალი თაყვანისმცემელი ჰყავს მოძვე საბჭოთა რესპუბლიკებში და საზღვარგარეთ. ამის დამადასტურებელი იყო ის გულთბილი მისასალმებელი სიტყვები, რომლებიც საღამოზე წარმოთქვეს რსფსრ თეატრალური საზოგადოების წარმომადგენელმა, პროფესორმა პ. მარკოვმა, სამხატვრო თეატრის რეჟისორმა ი. რავესკიმ და მოსკოვის მსახიობთა სახლის დირექტორმა ი. ესკინამ. მოსკოველებმა აკაკი ხორავა ჩვენი სამშობლოს დედაქალაქში მიიწვიეს, რათა ამ დიდი მსახიობის იუბილე იქაც აღნიშნონ. უკრაინიდან მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა უკრაინის სსრ სახალხო არტისტმა ო. კუსენკომ.

სომხეთის თეატრალური საზოგადოების სახელით ა. ხორავას მიესალმნენ სსრკ სახალხო არტისტი ა. ავეტისიანი და სომხეთის სსრ სახალხო არტისტი დ. მალიანი. დ. მალიანმა



მოიგონა ა. ხორავასთან ერთად უცხოეთში გატარებული დღეები. აზერბაიჯანის თეატრალური საზოგადოების სახელით სიტყვა წარმოთქვა აზერბაიჯანის სსრ სახალხო არტისტმა, აზერბაიჯანის თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარემ მ. მარდანოვმა.

ცხაკაიას რაიონის მშრომელების სახელით იუბილარს მიესალმა საქართველოს ალკვ ცხაკაიას რაიკომის მდივანი ე. ადამია.

აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკებისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის თეატრალური კოლექტივების სახელით მსახიობს მიესალმნენ რესპუბლიკის სახალხო არტისტები: ა. აგრა. ი. კობლაძე და დ. მამაევი.

რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა თ. ბაქრაძემ წაიკითხა ჩვენი სამშობლოს სხვადასხვა კუთხეებიდან იუბილარის სახელზე მოსული დეპეშები.

იუბილარს დეპეშებით მიულოცეს: საბჭოთა კავშირის კულტურის მინისტრმა ე. ფურცევამ, ცნობილმა უკრაინელმა მწერალმა მიკოლა ბაჟანმა. არამ ხაჩატურიანმა, კერა მარტეკაიამ. იგორ ილინსკიმ, ნიკოლოზ ტიხონოვმა, მიხეილ ცარიოვმა, ნატალია დუდინსკაიამ, კონსტანტინე სერგეევმა, ალექსანდრე ფეერალსკიმ. ვავიკ ვართანიანმა, კონსტანტინე კონსტანტინეს ძე მარჯანიშვილმა, დიმიტრი ალექსიძემ და მრავალმა სხვამ.

მისალმებათა ნაკადი არც სადამოს მეორე განყოფილებაში შეწყვეტილა. იუბილარს იმპროვიზებულად მიესალმნენ თბილისის თეატრები. გულთბილი სიტყვები წარმოთქვეს აკ. ხორავას მეგობრებმა სსრკ სახალხო არტისტებმა ვ. ანჯაფარიძემ და ვ. გომიანიშვილმა, რესპუბლიკის სახალხო არტისტმა ემ. აფხაიძემ და სხვებმა.

ა. ხორავამ პარტიას და მთავარსმისს დაამსწრე საზოგადოებას მხურვალე მადლობა გადაუხადა მისი მოღვაწეობის ასე დიდად დაფასებისათვის.

იუბილესთან დაკავშირებით „ლიტერატურა და ხელოვნება“ გამოცემა მდიდრულად ილუსტრირებული და მხატვრულად ლამაზად გაფორმებული ალბომი-კრებული „აკაკი ხორავა“.

კრებული იხსნება შ. აფხაიძის წერილით, რომელშიც განხილულია ა. ხორავას შემოქმედება. შემდეგ დაბეჭდილია საბჭოთა კულტურის და ხელოვნების ცნობილ მოღვაწეთა წერილები და გამოთქვამები ა. ხორავას შესახებ. დეპეშები და მისალმებები. ბოლოს კრებულს დართული აქვს ა. ხორავას შემოქმედებით მოღვაწეობის ღირსშესანიშნავი თარიღები და რეპერტუარი.

გარდა ამისა, გამოიცა აკაკი ხორავას წერილები თეატრალურ ხელოვნების შესახებ. ამ კრებულში შესულია ჟურნალ-გაზეთებში სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული წერილები. საჯაროდ წარმოთქმული სიტყვები, აგრეთვე ცნობილი თეატრალური მოღვაწეებისადმი მიძღვნილი წერილები.

ორივე კრებული შეადგინა თეატრმცოდნე ნინო შვანგირაძემ, მხატვრულად გააფორმა ი. ჯანაშიელმა, რედაქტორია თეატრმცოდნე ნ. გურაბანიძე.

იუბილის დღეებში საქართველოს სახელმწიფო თეატრალურმა მუზეუმმა რუსთაველის სახელმწიფო თეატრში მოაწყო აკაკი ხორავას ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი გამოვენა.

საიუბილეო საღამოები გაიმართა აგრეთვე მახარაძეში. ზუგდიდში, სოხუმში და მსახიობის მშობლიურ ქალაქ ცხაკაიაში.



თეატრალურმა საზოგადოებამ 18 დეკემბერი ხელოვნების მუშაკთა სახლში მოაწყო სსრ კავშირის სახალხო არტისტის ვასო გომიაშვილის დაბადების 60 წლისთავისა და შემოქმედებითი მოღვაწეობის 40 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო სესია. რომელიც გახსნა საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარემ, რესპუბლიკის სახალხო არტისტმა დ. ანთაძემ.

მოსხენებით „ვასო გომიაშვილი — დრამატული თეატრის მსახიობი“, გამოვიდა დოც. გ. ციციშვილი. მან თქვა:

ვასო გომიაშვილი ქართული საბჭოთა თეატრალური ხელოვნების დიდოსტატია. ამ დიდ მსახიობს ბრწყინვალე სცენური სახეებით მრავალი შესანიშნავი ფურცელი ჩაუწერია თანამედროვე ქართული თეატრის მდიდარ მატრიანში.

ვ. გომიაშვილი დღეს ჩვენი ეროვნული სცენის ერთერთ ბურჯად გვევლინება. იგი დიდად პოპულარულია მთელ ჩვენს მრავალეროვან საბჭოთა სამშობლოში. მის მიერ შექმნილი სახე აღბეჭდილია ღრმა აზრით, უდიდესი განცდით. ჭეშმარიტი შთაგონებით და ხალასი მხატვრობით. მას ასამდე მხატვრული სახე შექმნილი. მათ შორის გამოირჩევა: ლუარსაბის, რიჩარდის, ანჰას და არბენინის, ავეტიკას და მეფე ერეკლეს, ფიგაროს და პროფესორ ზანდუკელის, ხლესტაკოვის და ზურია ხარატელის. ბაზას და იულიუს კეისრის სახეები. აგრეთვე სხვა მრავალი სახე.

ნიჭის მრავალფეროვნებამ, ძალამ და სიხალისემ, დიდმა პროფესიულმა ოსტატობამ, მხვილმა საზრიანობამ, ფანტაზიამ, ტაქტმა, სცენურმა მომხიბლაობამ ვ. გომიაშვილს დიდი პოპულარობა მოუპოვა. ქართულ ხელოვნებაში მან სამართლიანად დაიმკვიდრა ჭეშმარიტად დიდი მსახიობის ადგილი.

კინოდრამატურგმა კ. გოგოძემ ილაპარაკა ვ. გომიაშვილზე, როგორც კინო აქტიორზე.

ვასო გომიაშვილს, — აღნიშნა მომხსენებელმა. — ქართული კინოხელოვნების განვითარებაშიც, დიდი ღვაწლი მიუძღვის. მის მიერ შესრულებულმა როლებმა, რიცხვით მცირემ, მაგრამ აზრითა და შინაარსით მეტად

დასამახსოვრებელმა ეკრანულმა სახეებმა კიდევ უფრო ააშალა კინოში ქართველ მსახიობთა პროფესიული სახეები.

საკმაოა დავასახელოთ ვასო გომიაშვილის მიერ განსახიერებელი როლები: ვასო ფილმ „ბაქოელეში“ (რეჟისორი ვლ. ტურინი), სიკო — „ქეთო და კოტეში“ (რეჟისორი ვ. ტაბლიაშვილი), მოხუცი — „ეთერის სიმღერაში“ (რეჟისორი ს. დლიძე), ბრმა მეფიანდურე — „მაიაკოვსკი იწყებოდა ასე“ (რეჟისორი კ. პიპინაშვილი), ავეტიკა — „რაც გინახავს ვეღარ ნახავ“ (რეჟისორი მ. შიუაურელი), რომ ნათლად დაეჩინახოთ მსახიობის შემოქმედების ძალა და დიდი ნიჭიერება.

მოსხენებმა „ვ. გომიაშვილი — ესტრადის მსახიობი“ — გააკეთა ვ. გოგოლაშვილმა. მომხსენებელი ამბობს: — ვასო გომიაშვილმა თავისი მოღვაწეობა ესტრადით დაიწყო. იგი უაღრესად ნიჭიერი და მრავალმხრივი საესტრადო მსახიობია.

თეატრში მიღწეულმა დიდმა წარმატებებმა როდი მოწყვიტა ვასო ესტრადას. ვასო გომიაშვილისათვის ესტრადა ნამდვილად მოწოდება იყო. მისი მრავალმხრივი ნიჭი არ თავსდება და მხოლოდ დრამატული მსახიობის ჩარჩოებში. საკმარისია მარტო იმის განსვენება, რომ ვ. გომიაშვილმა კონსერვატორია ვოკალური განხრით დაამთავრა და მეოთხე კურსზე უკვე ცნობილმა დრამატულმა მსახიობმა; რუსთაველის თეატრის კოლექტივის წევრმა ფიგაროს პარტია იმღერა. მსახიობი დრამატულ და კომედიურ როლებს ერთნაირი წარმატებით ასრულებდა, ამიტომაც მისმა მრავალმხრივმა ნიჭმა სწორედ ესტრადაზე იპოვნა სრული გასაქანი.

მოსხენებების შემდეგ სიტყვა ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორს, ხელოვნების დამახურებულ მოღვაწეს დიმიტრი ჯანელიძეს მიეცა. მან თქვა: ვასო გომიაშვილი ეროვნული რეპერტუარის შემოქმედი. როდესაც ვასო გომიაშვილი უცხო დრამატურგთა პიესებში გამოდის, მაშინაც მეტწილად მათს „გადმოქართულვას“ ცდილობს და ამ როლებსაც საკუთარ ძირითად თემას უახლოებს. მისი ფიგარო და ხლესტაკოვი, როდერიკო და რობინ-



ზონი ისევე გასაგებია ქართული მაყურებლისათვის, როგორც ლუარსაბ თათქარიძე და ახმა, აკოფა და ზურია ხარატიელი. ვასო გოძიაშვილს ცეცხლოვანი ტემპერამენტი ძალას აძლევს ტრაგიკულ როლებსაც ჩასწვდეს და ბახას და რიჩარდ მესამის განსახიერებით გამარჯვება მიუტანოს მშობლიურ სცენის ხელოვნებას.

მართლაც ახალგაზრდებმა ბევრი რამ უნდა ისწავლონ სცენის ამ უბაღლო ოსტატისაგან: — თქვა რესპუბლიკის სახალხო არტისტმა დ. მჭედლოძემ — ვასო გოძიაშვილის შემოქმედებითი გზა მთელი ქართული საბჭოთა თეატრის გზაა.

ამ დიდი მსახიობის შემოქმედებითი პალიტრა იმდენად მდიდარია, ვანაგრძობს დ. მჭედლოძე, რომ იგი ყოველი სახისათვის ახალ გამოსახველ ფერებს პოულობს და გეხიბოვებს მისი გარდასახვის უბაღლო ოსტატობით. პლასტიკურობით, როლებს ჩამოთვლიც კი საკმარისია რომ ერთხელ კიდევ ნათლად წარმოვიდგინოთ თვალიწინ ვასო გოძიაშვილის მრავალმხრივი ნიჭი.

ახალგაზრდა თეატრმოცდენთა სახელით ილაპარაკა ა. ტრაპაიძემ. მან თქვა:

„თანამედროვე ქართული თეატრის არცერთი მსახიობი ნიჭისა და ინტუიციის თვალსაზრისით ისე თავისებური არ არის, როგორც გ. შვავულოძე და ვასო გოძიაშვილი.“

მსოფლიო თეატრალური ხელოვნების რომელ უდიდეს მიღწევას არ შეიძლება გვერდში თამამად ამოუყენოთ ლუარსაბი? რომ არაფერი ვთქვათ მთლიანად რიჩარდ ტისამეზე. ახლა ავეტიკა? გამძვინვარებულ მთაფუნინი? რომელი ერთი უნდა ჩამოვთვალოთ.

ვასო გოძიაშვილი სცენაზე მთელი ქართველი ხალხის ნიჭისა და ინტუიციის მძლავრი დემონსტრაციაა. ეს პაუზიაა. ხან არაგვის ხეობაში აქაებულები, ხან ალაზნის ველზე სილი დაშლილი. ეს ფსიქოლოგიურ ასპექტში გადამტკრებული ჩვენი ერის რომანტიკაა.“

ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ პ. კანდელაკმა ბევრი საინტერესო ამბავი მოიგონა. მან თქვა: „1922 წელს თეატრალური სტუდიის მისაღებ გამოცდებზე კონკურსი ძალზე დიდი იყო. ახალგაზრდებიდან ერთმა ყველაზე პატარამ (ტანითა და წლოვანებით) გოძიაშვილმა მიიპყრო ყველას ყურადღება.“

დიდი ნიჭის, ტემპერამენტის, დიდი ემოციების ახალგაზრდამ სტუდიიდან მოიხვეჭა სახელი და აი ეს პატარა ვასო დღეს, ბუმბერაზი

შემომქმედია, დრამის, კინოს და თეატრალური დიდოსტატია. მას შეჰპარის ჩვენი სახელოსნოს სახელი მართლაც სახალხოა, ვასო ყველასა. იგი პირმშო შვილია ნიჭიერი ქართველი ხალხის“. დასასრულ სიტყვას ამბობს ვასო გოძიაშვილი:

— ხშირად მეკითხებიან რა იყო მიზეზი მსახიობი გამხდარიყავით. მაგრამ მე მინც ვიტყვი, რომ არ ვიცი რა იყო. სიმღერით ვმღეროდი, რიტმული ვიყავი, ლექსების კითხვა მიყვარდა, ხმის დაბობება მიყვარდა, ხმის ამაღლება, ხმის დადაბლება, მაგრამ რატომ ხდებოდა ეს. არ ვიცი. ერთ დროს ჩემზე დიდი ვავლენა მოახდინა შესანიშნავმა მსახიობმა, ბრწყინვალე ტალანტის მქონემ, დიდმა დაუღდეგარმა. მოხეთქილმა ტემპერამენტმა ალექსანდრე იმედაშვილმა.

თეატრს დაუვახოვდით ჩემი გრძნობებით. ოფიცრობაც მინდოდა ერთ დროს. ძალიან მიყვარდა ეს გაკვირებული ამბები. ორკესტრი, ცერემონიები. შევედი კიდევ სამხედრო სკოლაში. მაგრამ, როგორც უნიჭო ჯარისკაცი, გამომაგდეს იქიდან და შემდეგ კი, ჯარისკაცის ფორმით. „დიდი ბატინკები“ (მგონი 44 ნომერი იყო ეს ბატინკა. შინელიც ძირს დამთრევდა) მივედი დრამატულ სტუდიაში. რომელიც აკაცი ფალავას მიერ იყო დაარსებული. დიდი ამაგი მიუძღვის ჩვენზე განსვენებულ, პატივცემულ აკაცი ფალავას, რომელმაც დიდი საქმე გააკეთა მაშინ, ქართული დრამატული სტუდიის, საოპერო სტუდიის დაარსებით.

მე არ დამავიწყდა და ვის დაავიწყდება დიდი კოტე მარჯანიშვილის ჯაღოქრობა ქართულ სცენაზე. დიდი ალექსანდრე ახმეტელის ზრდა ქართულ თეატრში. დიდი ამაგი მიუძღვით მათ ჩემს ალზრდაში. ჩემს დავაყაცებაში. ვიგორც ვასო უშუიკაშვილს, რომელიც დიდი სიმართლის მძიებელი იყო სცენაზე და ჰქმნიდებინა მოითხოვდა ქართველი მსახიობისათვის. მას ნაკლებ ეპიტანავებოდა სცენაზე; როგორც იტყვიან, ფოკუსნიკობა, გარეგნულა ხერხები. ყველაფერი თავის დროზე და ზომიერად უყვარდა მაგრამ მთავარი კი ის იყო. ქვეტექსტის ვაგებეს კატეგორიულად მოითხოვდა ქართველი მსახიობებისათვის. მე მაღლობის მეტი არაფერი მეთქმის ამ ადამიანის მიმართ.

არ შეიძლება არ მოვიგონო რეჟისორი. რომელმაც ბრწყინვალედ დადგა „რაღ გინახავს ველარ ნახავი“ აქვსენტი ცვაკრელისა. ეს იყო გიორგი ჟურული. არ შეიძლება არ მოვიგონო



ქართული  
ლიბრეოთეკა

რეჟისორი არჩილ ჩხარტიშვილი, ვისთანაც მე  
„ხარატანთ კერაში“ ზურია ხარატელი ვითა-  
მაშე და ამბობენ კარგადაა.

მე მიხარია, რომ ქართულ თეატრს თავს  
ახალგაზრდები ახვევია, რომლებიც ისევე

როგორც ჩვენი თაობა ამ დღეებში ვართ  
მეს ემსახურებიან. (მჭუხარე ტაში).

საიუბილეო სესიის მუშაობა შეაჯამა საქარ-  
თველოს თეატრალური საზოგადოების თავ-  
მჯდომარემ, რესპუბლიკის სახალხო არტისტ-  
მა დ. ანთაძემ.



20 დეკემბერს ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრში გაიმართა საიუბილეო საღამო, რომელიც მიეძღვნა ქართული თეატრის დიდოსტატის, სსრ კავშირის სახალხო არტისტის, სახელმწიფო პრემიის ლაურეატის ვასო გომიაშვილის დაბადების 60 წლისთავსა და სასცენო მოღვაწეობის 40 წლისთავს.

საიუბილეო საღამო გახსნა საქართველოს სსრ კულტურის მინისტრმა ო. თაქთაქიშვილმა. მოკლე მისალმების შემდეგ მან მოხსენებისათვის სიტყვა მისცა საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანს, კრიტიკოს ბ. ელენტს.

დიდ მსახიობს გულთბილად მიესალმნენ: საქართველოს მწერალთა კავშირის სახელით — პოეტი ი. ნონეშვილი, კულტურის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის სახელით მისი თავმჯდომარე ე. გოგიაშვილი, საქართველოს მეცნიერთა სახელით — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ა. ზურაბაშვილი, მშობლიური სიღნაღის რაიონის მშრომელთა სახელით — ვანათლების განყოფილების გამგე ე. დალაქიშვილი, თეატრალური საზოგადოების სახელით — საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარე, რესპუბლიკის სახალხო არტისტი, რეჟისორი დ. ანთაძე. სომხეთის ხელოვნების მუშაკთა სახელით — სსრ კავშირის სახალხო არტისტი ტ. საზანდარიანი, რესპუბლიკის კინემატოგრაფიის მუშაკთა კავშირის სახელით — სსრ კავშირის სახალხო არტისტები ს. დოლიძე, და მ. ჭიაურელი, საქართველოს მხატვართა კავშირის სახელით — საქართველოს სახალხო მხატვარი კ. მ. სანაძე. საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის სახელით — პროფესორი გ. ჩხიკვაძე. რუსთაველის სახელობის თეატრის კოლექტივის სახელით — რესპუბლიკის სახალხო არტისტი ე. აფხაიძე, ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის კოლექტივისა და ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის თეატრის კოლექტივის სახელით — სსრ კავშირის სახალხო არტისტი პ. ამირანაშვილი და რეს-

პუბლიკის სახალხო არტისტი ბ. კრავიშვილი, საქართველოს მედიცინის მუშაკთა სახელით — პროფესორი დ. მამამთავრიშვილი, აფხაზეთის ასსრ კულტურის მოღვაწეთა სახელით — რესპუბლიკის სახალხო არტისტი ვ. ნინიძე, აჭარის ასსრ კულტურის მოღვაწეთა სახელით — რესპუბლიკის სახალხო არტისტი მ. ხინციფე, გურჯაანის რაიონის მშრომელთა სახელით — კულტურის სახლის დირექტორი ზ. გოგლიძე, თელავის რაიონის მშრომელთა სახელით — რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი თ. ბურბუთაშვილი.

ძვირფას იუბილარს გულთბილად მიესალმნენ გრიბოედოვის სახელობის, შაუშმანის სახელობის სომხური დრამის, მოზარდ მაყურებელთა რუსული და ქართული თეატრების, ქუთაისის, გორის, ცხინვალის თეატრების, საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის კოლექტივების, უმაღლეს სისწავლეზე, მთელ რიგ სხვა უგანაჩეციათა წარმომადგენლები.

განსაკუთრებით გულთბილად მიესალმნენ ვ. გომიაშვილს მისი მშობლიური კოლექტივის — მარჯანიშვილის სახელობის თეატრის მსახიობები.

იუბილარის სახელზე მოსული დეპეშები წაიკითხა რესპუბლიკის სახალხო არტისტმა ო. თაქთაქიშვილმა. დეპეშები მოვიდა სსრკ კულტურის სამინისტროდან და გაზეთ „პრავდის“ რედაქციისაგან. რსფსრ, უკრაინის და აზერბაიჯანის თეატრალური საზოგადოებათა პრეზიდიუმების, სსრკ სახალხო არტისტების გ. ტოვსტონოვოვისა და მ. ცაროვისაგან, რესპუბლიკის სახალხო არტისტის დ. ალექსიძისაგან და სხვა.

სალამოს მეორე განყოფილებაში გაიმართა დიდი კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს თბილისის საუკეთესო თეატრალურმა ძალეებმა და თვით იუბილარმა.

წარმოდგენილი იყო ი. ჭავჭავაძის „კაცია ადამიანის“ და ცვაარელის კომედიის „რაც გინახავს ვეღარ ნახავ“ სცენები.

დასასრულს ვ. გომიაშვილმა სიტყვა წარმოსთქვა. მან გულწრფელი მადლობა გადაიხადა.

ქართული თეატრალური ხელოვნების მუშაკთა შორის საპატიო ადგილი უჭირავს რესპუბლიკის სახალხო არტისტს შალვა ხონელს, რომელსაც დაბადების 80 და სასცენო მოღვაწეობის 60 წელი შეუსრულდა.

შალვა ხონელის მამა სიმონ გოგოლაშვილი (სვიმონ სვიმონიძე) და დედა ალექსანდრა გამრეკლიძე გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან ცნობილი მსახიობები იყვნენ.

შალვა ხონელი თეატრის ხშირი სტუმარი იყო. შალვას თეატრისადმი ლტოლვა შენიშნა ცნობილმა რეჟისორმა მიხეილ ქორელმა. რომელიც წინათ თბილისის ქართული გიმნაზიის პედაგოგი იყო. მან შალვა ქუთაისში დასწი სამუშაოდ წაიყვანა. ამ დღიდან იგი ქართულ თეატრს არ მოშორებია და ყოველთვის და ყველასათვის საჭირო და სასურველი იყო, როგორც შემოქმედი და ამხანაგი.

მისმა მშობლიურმა ქუთაისმა 13 დეკემბერს რესპუბლიკის სახალხო არტისტ შ. ხონელს გაუმართეს დაბადების 80 და მოღვაწეობის საიუბილეო საღამო, რათა მადლობა გამოეცხადებინათ თავის მართალი და უშუალო ჩატარებული შრომის გამო. საზეიმო საღამო გახსნა მშრომელთა დეპუტატების ქალაქ ქუთაისის საქალაქო საბჭოს კულტურის განყოფილების გამგემ ა. ბარათაშვილმა. მოხსენება — „შალვა ხონელის ცხოვრება და მოღვაწეობა“ — წაიკითხა მწერალმა ს. ფხაკაძემ. იუბილარს საქართველოს კულტურის სამინისტროს და საქართველოს თეატრალური საზოგადოების საპატიო სიგელი გადასცა რესპუბლიკის სახალხო არტისტმა დ. ანთაძემ. შ. ხონელს მიესალმნენ: საქართველოს თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმის სახელით — ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე დ. ჩხეიძე, ხელოვნების მუშაკთა სახელით — რესპუბლიკის სახალხო არტისტი ვ. ნინიძე, ლადო მესხიშვილის სახელობის თეატრის კოლექტივის სახელით — რეჟისორი თ. მესხი, აკაკი წერეთლის სახელობის ქიათურის თეატრის სახელით — მთავარი რეჟისორი ო. ალექსიშვილი და ლ. მესხიშვილის სახელობის თეატრის სახელით — სამხატვრო ხელმძღვანელი — სსრკ სახალხო არტისტი აკ. ვასაძე, შალვა ხონელისადმი მიძღვნილი ლექსები წაიკითხეს ქუთაისელმა პოეტმა გ. სამხარაძემ და იუბილარის შვილიშვილმა.

დასასრულ ნაჩვენები იქნა სცენები იმ სპექტაკლებისა, რომლებშიც შ. ხონელი მონაწილეობდა.

# შემოქმედებითი საღამოები.

## მიხეილ ყვარელაშვილისადმი მიძღვნილი

მიმდინარე წლის 30 ნოემბერს, თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმმა და ხელოვნების მუშაკთა სახლის გამგეობამ გამართეს ქართული საოპერო ხელოვნების ერთ-ერთი გამოჩენილი წარმომადგენლის, რესპუბლიკის სახალხო არტისტის მიხეილ ყვარელაშვილის შემოქმედებითი საღამო. საღამო შესავალი სიტყვით გახსნა თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარემ. რესპუბლიკის სახალხო არტისტმა დ. ანთაძემ, მსახიობის შემოქმედების შესახებ მოხსენებით გამოვიდა პროფ. პ. ხუჭუა. მომხსენებელმა მამყენალებს გააცნო მსახიობის შემოქმედება. ყვარელაშვილი სცენით ბავშვობიდანვე ყოფილა გიტაცებული და თავის სამშობლო სოფელ ხაშში მონაწილეობა მიუღია როგორც სცენის-მოყვარეთა წრეში, ისე თანასოფლელების მიერ ჩამოყალიბებულ სიმღერის გუნდში. მაშინ იგი წკრიალა ხმით ატკობდა მსმენელებს.

მომღერლის სასცენო მოღვაწეობა რუსთაველის სახელობის თეატრში დრამატული მსახიობის კარიერით დაიწყო. დიდმა ქართველმა არეისორმა ალ. ამბეტელმა, შენიშნა ახალგაზრდა მსახიობის მშვენიერი ვოკალური მონაცემები და მას კონსერვატორიაში შესვლა ურჩია. 1932 წელს ყვარელაშვილმა კონსერვატორიის დამთავრების შემდეგ ოპერის სცენაზე პირველად მალხაზის პარტია შეასრულა ზ. ფალიაშვილის ოპერა „დაისში“. ამ დღიდან მიხეილ ყვარელაშვილი ოპერის თეატრის საუკეთესო მსახიობთა რიგებში ჩადგა და შეასრულა ტენორის ყველა მნიშვნელოვანი პარტია. ამჟამად მ. ყვარელაშვილი პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალურ ინსტიტუტსა და სახელმწიფო კონსერვატორიაში.

მოხსენების შემდეგ მ. ყვარელაშვილს მიესალმნენ სხვადასხვა თეატრებისა და ორგანიზაციების წარმომადგენლები: ოპერის თეატრიდან — რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი შ. თაბუკაშვილი, თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმის სახელით — რესპუბ-

ლიკის სახალხო არტისტი დიმიტრი გუგუნიძე, თეატრალური ინსტიტუტიდან — ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი დიმიტრი ჯანელიძე, კინოსტუდია „ქართული ფილმიდან“ — კინორეჟისორი კ. გოგოძე, კონსერვატორიიდან — ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე შ. ქუთათელაძე, ხელოვნების მუშაკთა სახლის გამგეობის სახელით — ნ. მესხი, მუსიკალური კომედიის თეატრის სახელით — რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ქ. კობახიძე და პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტიდან — პედაგოგი ს. ყვანია, საქართველოს ფილარმონიის სახელით რესპ. დამს. არტისტი ა. მაკრაქველიძე. რეჟისორს მიესალმნენ მისი თანასოფლელები: პედაგოგმა გოგინიაშვილმა სიტყვა წარმოთქვა, ხოლო ხანდაზმულმა გლეხებმა მის პატივსაცემად რამდენიმე სიმღერა შეასრულეს.

საღამოს მეორე განყოფილებაში გაიმართა დიდი კონცერტი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს: სსრკ სახალხო არტისტებმა ვასო გოძიაშვილმა და პეტრე ამირანაშვილმა, რესპუბლიკის სახალხო არტისტებმა, ნალია კომიაიამ, ეკატერინე სოხაძემ, მედეა ამირანაშვილმა, ბათუ ყრავიშვილმა და ემანუელ აფხაიძემ, რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტებმა. თამარ ლაპიაშვილმა, შალვა ვაშლიანიძემ და შოთა თაბუკაშვილმა, ოპერის სოლისტებმა რევაზ კაკაბაძემ და ვანტანე გლუნაძემ, ფილარმონიის ვოკალურმა კვარტეტმა „ორეამ“. კონსერვატორიის სტუდენტებმა: ა. გოგოლაშვილმა და მ. შარაბიძემ, თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტმა მანონ აბაშიძემ და ა. ალაიძემ, კონცერტში მონაწილეობდნენ: კონცერტმეისტერები, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები მ. კამოვეა და ევგ. გოძიაშვილი. პროფ. დ. შვედოვი და ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ი. გორდონი. კონცერტში მონაწილეობა მიიღო თეიონი მიხეილ ყვარელაშვილმა, რომელმაც შეასრულა თავისი საყვარელი პარტიები. არიები და დუეტები (ე. სოხაძესთან, მ. ამირანაშვილთან და



პ. ამირანაშვილთან). კონცერტის დასასრულს  
ნაჩვენები იყო კინოფილმ „აკაკის აკვანის“  
ნაწყვეტი. მიხეილ ყვარელაშვილმა ამ ფილმ-  
ში მხცოვანი პოეტის დიდებული სახე შექმნა.  
სალამოს დასასრულს რესპუბლიკის სახალ-

ხო არტისტმა მიხეილ ყვარელაშვილმა მად-  
ლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას და  
სალამოს მომწყობ ორგანიზაციებს მისი ღვაწ-  
ლის დიდი დაფასებისათვის.



65 წლისთავი

29 ნოემბერს ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის სახელმწიფო თეატრში ცნობილი ბალეტმეისტერის, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის დავით ნიკოლოზის ძე მაჭავარიანის დაბადების 65 და შემოქმედებითი მოღვაწეობის 45 წლისთავისადმი მიძღვნილი შემოქმედებითი საღამო გაიმართა. საქართველოს სსრ თეატრალურმა საზოგადოებამ და თეატრის კოლექტივმა მთელ ქართველ ხალხთან ერთად ღვაწლმოსილი მოღვაწისადმი დიდი სიყვარული და უანგარო პატივისცემა გამოხატეს.

დ. მაჭავარიანის მაღალმხატვრული ხელოვნებით არაერთხელ დამშვენებულა სხვადასხვა თეატრების სანიმუშო სპექტაკლები.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარემ, საქართველოს სახალხო არტისტმა დ. ანთაძემ. დავით მაჭავარიანის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე ვრცლად ილაპარაკა საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა ლ. გვარამაძემ, კულტურის სამინისტროს სახელით დ. მაჭავარიანს საპატიო სიგელით დაჯილდოება მიულოცა და მიესალმა ე. მითაიშვილი.

იუბილარს ესალმებიან შ. რუსთაველის სახელობის, კოტე მარჯანიშვილის სახელობის, გრიბოედოვის სახელობის, შაუმიანის სახე-

ლობის. მოზარდმაცურებელთა ქართული დარუსული. სანიტარული კულტურის თეატრების წარმომადგენლები, საქართველოს სსრ სახელმწიფო ფილარმონია, კინოსტუდია „ქართული ფილმი“, ქორეოგრაფიული სასწავლებელი. მხატვართა კავშირი, თეატრალური ინსტიტუტი, სახელმწიფო კონსერვატორია და სხვადასხვა ორგანიზაციები, რომელთა შემოქმედებითს ცხოვრებაში წლების მანძილზე ამ დაუღალავ ენერგიულ შემოქმედს აქტიური მონაწილეობა მიუღია.

პირველი განყოფილების დასასრულს წაკითხულ იქნა უამრავი დეპეშა საბჭოთა კავშირის ყველა კუთხიდან, ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქებიდან.

მხატვრული განყოფილება მთლიანად ეთმობა 45 წლის მანძილზე დ. მაჭავარიანის მიერ ოსტატურად ნაქსოვ ქორეოგრაფიულ სურათებს, რის შემდეგ მუსიკალური კომედიის თეატრის კოლექტივის სახელით ამ ქანრის ამგვარს მიესალმნენ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ბ. გამრეკელი და თეატრის მთელი დასი.

დასასრულს დავით მაჭავარიანმა დიდი მადლობა გადაუხადა პარტიასა და ხელისუფლებას, საღამოს ორგანიზატორებს, თეატრის კოლექტივს მისი ღვაწლის დაფასებისათვის.



დაბადების 60 წელი

ნ დეკემბერს მოზარდ მაყურებელთა რუსულმა თეატრმა და საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ აღნიშნეს რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის ალექსანდრე ნიკოლოზის ძე ენგელგარტის დაბადების 60 წლისა და შემოქმედებითი მოღვაწეობის 40 წლისადმი მიძღვნილი შემოქმედებითი საღამო.

ა. ნ. ენგელგარტმა თავისი შემოქმედებითი ცხოვრება დაიწყო ქ. ლენინგრადში საბავშვო თეატრის გამოჩენილი მოღვაწეების — ა. ა. ბრიანცევის, ბ. ე. ზონის და დ. ი. მაკარევის ხელმძღვანელობით. ა. ნ. ენგელგარტმა აქტიური მონაწილეობა მიიღო ჩვენი ქვეყნის საბავშვო თეატრების დაარსებასა და განვითარებაში.

მსახიობი თავის დღესასწაულს შემოქმედებითი ენერგიით სავსე ხვდება.

შემოქმედებით საღამოზე — ა. ნ. ენგელგარტის ცხოვრებასა და შემოქმედების შესახებ მოხსენებით გამოვიდა — რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი თ. პაპიტაშვილი. იუბილარს მიესალმნენ საქართველოს თეატრალური საზოგადოების სახელით, რესპუბლიკის სახალხო არტისტი ვ. ნინიძე, საქართველოს კულტურის სამინისტროს სახელით მ. გოგოლაშვილი, საქართველოს განათლების სამინისტროს სახელით თ. მუჯირი, თბილისის სომხური დრამის თეატრის სახელით — რ. მერაბოვი, მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრის სახელით მ. ცხომარია და სხვები.

ა. ნ. ენგელგარტი დაჯილდოვდა საპატიო სიგელით. დასასრულს ა. ნ. ენგელგარტმა მადლობა გადაუხადა შემოქმედებით საღამოს ორგანიზატორებს გულთბილი შეხვედრისათვის.

4 ოქტომბერს საქართველოს თეატრალურ-მა საზოგადოებამ. საქართველოს კულტურის სამინისტრომ და მარჯანიშვილის სახელობის თეატრმა აღნიშნა რესპუბლიკის სახალხო არტისტის პიერ კობახიძის ხსოვნის საღამო.

მარჯანიშვილის სახელობის თეატრში, რომლის სცენაზე მსახიობი ქმნიდა შესანიშნავ სახეებს, შეიკრიბა მისი ნიჭის მრავალი თაყვანისმცემელი.

სცენაზეა პიერ კობახიძის დიდი პორტრეტი. სსრკ სახალხო არტისტმა ვერიკო ანჯაფარიძემ დამსწრეთ გაუზიარა მოგონებანი: მე მახსოვს პიერ კობახიძე უკანასკნელ მის სპექტაკლში. ბათუმის დრამატულ თეატრში მიდიოდა „ურთელ აკოსტა“. ამ დღეს იგი თამაშობდა რაღაც არაჩვეულებრივად, განსაკუთრებული აღმაფრენით. მე ვიდექი კულისებში, უფრო და უფრო მიტაცებდა მისი თამაში, თვალი ვერ მოვწყვიტე მის კეთილშობილ, ჰემპარიტების მქადაგებელ ურიელს. მე ვერ ვცნობდი პიერს. მის თამაშში ყოველთვის იყო რაღაც ახალი, მაგრამ ამ დღეს ის გასცდა თავის თავს. ეჭვსი დღის შემდეგ პიერი აღარ იყო. ვერიკო ანჯაფარიძე კითხულობს ივლითის მონოლოგს „ურიელ აკოსტადან“ შემდეგ გაისმა პიერ კობახიძის ურიელის ხმა, ჩაწერილი მაგნიტოფონის ლენტზე.

სცენის თვალსაჩინო ოსტატის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე დამსწრეთ უამბო ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატმა გ. ციციშვილმა.

საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარემ, რესპუბლიკის სახალხო არტისტმა დ. ანთაძემ და რესპუბლიკის სახალხო არტისტმა ა. კვანტალიანმა დამსწრეთ გაუზიარეს მოგონებანი შესანიშნავი მსახიობის, ადამიანის შესახებ. პიერ კობახიძის ლექსები წაიკითხეს რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტებმა მ. მახვილაძემ, ტ. საყვარელიძემ, ი. ტრაიპოსკიმ, ო. მეღვინეთუხუცესმა. მსახიობებმა: ნ. მგალობლიშვილმა, გ. სიხარულიძემ, რესპ. დამსახურებულმა არტისტმა შ. ქოჩორაძემ წაიკითხა ნაწყვეტი სპექტაკლიდან „მოდღარი“ (პიერ კობახიძის მიერ დაწერილი ტექსტი).

სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ვ. გოძიაშვილმა შეასრულა საექსტრადო ნომერი, რომელიც სპეციალურად მისთვის დაუწერია პიერ კობახიძეს. რესპუბლიკის სახალხო არტისტმა ე. აფხაიძემ წაიკითხა პ. კობახიძისადმი მიძღვნილი ლექსები.

საღამოს დასასრულს წარმოდგენილი იქნა მე-2 მოქმედება სპექტაკლიდან „ურიელ აკოსტა“.

გარდაიცვალა რესპუბლიკის სახალხო არტისტი ლიბიტრი მჟავია. მრავალი ათეული წლის მანძილზე იგი დაუღალავად და გატაცებით იღწვოდა. ნიჟსა და გამოცდილებას არ იშურებდა ქართული სასცენო კულტურის განვითარებისათვის. ლიბიტრი მჟავია ერთი იმათგან იყო, ვინც საფუძველი ჩაუყარა ქართულ საბჭოთა თეატრს და მთელი შემოქმედებითი ცხოვრების მანძილზე ამაყად ატარა მისი წმინდა დროშა.

ლიბიტრი მჟავიამ თავიდანვე ყურადღება გულმოდგინებითა და შემოქმედებითი უშუალობით მიიქცია. იგი გზიბლავდათ უბრალოებითა და სიმართლით. პასუხისმგებლობის შეგნებითა და ანსამბლურობის გრძნობით. ამხანაგების მიმართ გულისხმიერი. კეთილი. ჩუმი და თავმდაბალი, საქმეში ყოველთვის პრინციპული იყო.

ლიბიტრი მჟავია დაიბადა 1896 წელს. გიმნაზიის დამთავრების შემდეგ. 1916 წელს. სწავლის გასაგრძელებლად ნოვოჩერკასკში გაემგზავრა. იქ საინჟინრო დარგზე შევიდა. მაგრამ თეატრით იმდენად იყო გატაცებული. რომ მალე თავი დაანება სწავლას, დაბრუნდა

თბილისში და ჯაბადარის სათეატრო სტუდიაში შევიდა. სტუდიის დამთავრების შემდეგ იგი შეუდგა თეატრალურ მოღვაწეობას.

ლიბიტრი მჟავია დაკვირვებით მუშაობდა, ცდილობდა ღრმად ჩასწვდომოდა „ხასიათს, თავისებურად გაეაზრებინა და გულმოდგინედ გამოემერწა. ამიტომ იყო, რომ მის მიერ განსახიერებულ როლებში იშვიათად შეხედვებოდით საჩოთირო ადგილებს. მის მიერ რუსთაველის თეატრის სცენაზე შექმნილი სახეები არც ამოვარდნილი იყო ანსამბლიდან და არც მის მთლიანობას არღვევდა. ის მუდამ ხელს უწყობდა საქტაკლის მონოლითურობას. ამიტომაც მსახიობის დამსახურება რუსთაველის თეატრის შემოქმედებით წარმატებაში თვალსაჩინოა. მის მიერ ამ თეატრის სცენაზე შექმნილია სახეები: ლენინი (ა. პავლოვის „თოფიანი კაცი“), მირზა (შანშიაშვილის „ანზორი“), შმაგა (ა. ოსტროვსკის „უდანაშაულო დამნაშავენი“), შიგელბერგი (შილერის „ყაჩაღები“) ლიბიტრი შუისკი (ა. სოლოვიოვის „დიდი ხელმწიფე“), ლიზოგუბი (ა. კორნეიჩუკის „ბოგდან ხმელნიკი“), არკადი (ა. კორნეიჩუკის „პლატონ კრეჩტი“) და სხვა.



## Краткая аннотация

### I. Грузинский театр в борьбе за освоение современной темы

(передовая)

Передовая статья журнала посвящена проблеме современности в грузинском театре. Вся история грузинского театра является лучшим подтверждением того, что искусство торжествовало победу именно тогда, когда со сцены звучала правда о насущных вопросах современности, когда сценическое искусство было народным, гуманным и ярко художественным.

На данном этапе развития грузинского театра многое старое, ранее признанное прогрессивным, отходит в прошлое и это

расставание со старым проходит болезненно-остро. В то же время и новое не всегда бывает свежим и оригинальным, верным высоким художественным идеалам. Поиски новых средств сценической выразительности порой подменяются переживом старых режиссерских приемов времен становления советского театра. Острое чувство современности у художника, требовательность, ясное понимание задач и целей советского театра — залог творческих успехов деятелей грузинского искусства.

### II. Конференции зрителей

В помере напечатаны корреспонденции из Батуми и Зестафони о проведенных там конференциях зрителей.

Представители театральной общественности Тбилиси встретились со зрителями Батумского театра и поделились с ними впечатлениями о выделенных ими спектаклях приморского города. Театровед В. Кикнадзе подробно остановился на четырех работах театра — «Убийцы», В. Кейтена и У. Белова, «Во дворе злая собака» К. Буачидзе, «Нацаркекия» Г. Нахуцришвили и «Еще раз о любви» Е. Радзинского, отметив преобладание в репертуаре театра пьес на современную тему. Спектакли раз-

решенные в реалистическом плане отмечены многими актерскими удачами.

С разбором декоративного оформления спектаклей театра выступил художник К. Кукуладзе.

Об отдельных актерских работах, о некоторых недостатках сценической речи актеров, о необходимости включения в репертуар большого количества классических пьес, говорили театровед Н. Швангирадзе, Народный артист СССР В. Годзиашвили, засл. арт. Т. Бакрадзе.

С ответным словом выступили Г. Бокерия, Ф. Халваши, Ш. Давитадзе.

Встречи со зрителями Зестафонского народного театра им. У. Чхеидзе проходили с 25 по 27 сентября с/года. Режиссер П. Прангишвили и театровед М. Цхомария выступили с разбором трех показанных на смотре спектаклей народного театра. («В снежную ночь» Д. Квициридзе, «Новый

адрес» Мхаргдзели, «Четыре жизни» О. Дгебуадзе).

Было высказано пожелание, чтобы актеры избегали декламационного стиля исполнения, глубже вникали в исполняемый образ и следили за логикой сценического действия.

### III. Грузинская республиканская выставка работ художников театра и кино



По инициативе Министерства культуры, Т. О., Союза художников и Картинной галереи Грузии была организована выставка работ театральных и кино-художников Грузии, приуроченная к совещанию театральных и кино-художников республик Закавказья.

На выставке были представлены лучшие работы нескольких поколений грузинских художников, созданные за последние 30 лет. Докладчик Г. Алибегашвили подробно анализирует творчество театральных художников Грузии, выделяя работы С. Вир-

саладзе, И. Сумбаташвили, П. Лапиашвили и др.

Совещание, проходившее в Малом Зале театра им. Руставели рассмотрело многие насущные вопросы современного театрально-декорационного искусства. С Докладами выступили канд. искусствоведения М. Пожарская, Б. Клобкова, реж. О. Андроникашвили, М. Гижимкредли, представитель Армении Д. Халатян и др.

В январе 1966 года выставка работ грузинских театральных художников будет перенесена в Ленинград.

### IV. Юбилейные вечера

Под таким общим заголовком в номере напечатаны отчеты о проведенных в последнем квартале 1965 г. юбилейных вечеров, посвященных 100-летию Горийского театра, актерам А. Хорава, В. Годзиашвили и Ш. Хонели.

Вековая история Горийского театра начинается со дня первого представления актерами-любителями в июле 1865 года комедии Г. Эристави «Раздел». Многие прославленные актеры начинали свой творческий путь на сцене Горийского театра, многие писатели, общественные деятели, драматурги принимали активное участие в жизни театра. Есть чем гордится славному коллективу горийцев.

Юбилейный вечер вступительным словом открыл Министр культуры Грузии О. Тактакишвили. С докладом о творчес-

ком пути театра выступил доктор искусствоведения Д. Джanelидзе.

Юбиляра приветствовали секретарь ЦК КП Грузии Д. Стуруа, нар. арт. СССР А. Мачавариани, председатель Союза художников Грузии З. Лежава, от имени Горийской общечественности М. Махарашвили, проф. С. Гачечиладзе, И. Коберидзе и др.

Большой группе творческих и технических работников театра присуждены почетные звания. Многие из сотрудников театра награждены Почетной грамотой Президиума Верховного Совета Грузинской ССР.

В заключение вечера были исполнены сцены из спектаклей театра: «Раздел» Г. Эристави, «Семья Девидзе» Дж. Карчхадзе и «Тристан и Изольда» А. Берштейна.

Выдающемуся советскому актеру Акакию Хорава исполнилось 70 лет. Актер героико-романтического плана А. Хорава принес в искусство свою тему, тему большого, смелого и свободолюбивого человека. Его прекрасное искусство органическая часть художественной жизни руставелевского театра. Отдавая дань заслугам А. Хорава перед грузинским театром 1-го ноября 1965 года Грузия чествовала своего любимого актера.

С докладом о жизни и творчестве А. Хорава выступил критик В. Жгенти. Юбиляра приветствовали представители художественных и общественных организаций Москвы, Украины, Армении, Азербайджана, родины актера — г. Цакаяя. На вечере были зачитаны приветственные телеграммы от Министра культуры СССР Е. Фурцевой, М. Баждана, А. Хачатурыана, В. Марцековой, И. Ильинского, Н. Тихонова и др.

К юбилею были изданы сборник-альбом,



посвященный А. Хорава и Сборник статей и писем актера о театральной искусстве.

В связи с юбилейной датой 60-летием со дня рождения и 40-летием творческой деятельности нар. арт. СССР Васо Годзиашвили, Т. О. Грузин провело научную сессию, посвященную творчеству этого крупнейшего грузинского актера театра и кино.

На сессии были прочитаны доклады — «Васо Годзиашвили — актер драматического театра», Г. Цицишвили, «Васо Годзиашвили — киноактер», К. Годзде и «Васо Годзиашвили — актер эстрады», В. Гоголашвили, в каждом из которых были освещены основные сферы деятельности талантливого актера. Блестящий мастер перевоплощения, актер яркой творческой индивидуальности, острой сценической формы и темперамента В. Годзиашвили создал самые разнохарактерные ро-

Старейшему грузинскому актеру Нар. арт. респ. Шалве Хонели исполнилось 80 лет. Родина Хонели — Кутаиси чествовал

Юбилейные вечера были проведены так же в Махарадзе, Сухуми и Цхакая.

ли как в комедии, так и в трагедии и драме. Его искусство не знает ни возрастных, ни жанровых ограничений. Многие из его ролей стали синонимами авторских образов.

На юбилейном вечере в Театре оперы и балета им. З. Палиашвили о творчестве актера говорил критик В. Жгенти. Юбилера приветствовали деятели грузинской культуры и культур братских народов СССР. Особенно теплым было выступление театра им. Марджанишвили, на сцене которого В. Годзиашвили исполнил свой лучшие роли.

В заключение вечера, с участием юбиляра были исполнены сцены из спектаклей «Человек ли он!» и «Иные нынче времена».

своего любимого актера, отметив его большие заслуги перед грузинским театром.

## V. Творческие вечера

В журнале напечатаны отчеты о творческих вечерних деятелей грузинского искусства, организованных ТО Грузин.

Известный оперный певец Михаил Кварелашвили начал свою творческую деятельность в качестве актера драматического театра. После окончания консерватории, он выступает на оперной сцене, исполняя

Искусство грузинского балетмейстера Давид Николаевича Мачавариани известно всем ценителям театрального искусства — танцы, поставленные этим маститым хореографом для многих спектаклей тбилис-

40 лет служит искусству ветеран ТЮЗ-а засл. арт. респ. Александр Николаевич Энтельгардт. Юбилера приветствовали пред-

основные теноровые партии в операх грузинских, русских и зарубежных композиторов. В настоящее время он ведет педагогическую работу в Грузинском театральном институте и Госконсерватории. О жизненном и творческом пути М. Кварелашвили говорил проф. П. Хучуа, выступая на творческом вечере грузинского певца.

ских и других театров республики пользуются большим успехом.

Театральная общественность Тбилиси тепло отметила 65-летие со дня рождения Д. Мачавариани.

ставители тбилисских театров и товарищи по сцене актеры тбилисского русского ТЮЗ-а.

### Вечер памяти Пьера Кобахидзе

В театре им. Марджанишвили состоялся вечер памяти нар. арт. респ. Пьера Кобахидзе, создавшего на сцене своего любимого театра немало интересных ролей. С воспоминаниями о нем выступили актеры театра им. Марджанишвили и других театров города.


На вечере был исполнен 2-ой акт из спектакля «Уриэль Акоста».

В номере напечатан некролог в связи с кончиной нар. арт. респ. Д. Мжавия.



ს ა რ ჩ ი ვ ი

|  |    |
|--|----|
| I. ქართული თეატრი თანამედროვეობის ასახვისათვის ბრძოლაში . . . . .            | 3  |
| II. მკურნალობის კონფერენციები  |    |
| 1. ქ. ბათუმში . . . . .  | 5  |
| 2. ქ. ზესტაფონში . . . . .   | 8  |
| III. საქართველოს თეატრისა და კინოს მხატვართა ნამუშევრების გამოფენა . . . . . | 9  |
| IV. საიუბილეო საღამოები  |    |
| 1. გორის თეატრის 100 წელი . . . . .  | 11 |
| 2. ა. ხორავას დაბადების 70 წლისთავისადმი მიძღვნილი . . . . .                 | 14 |
| 3. ე. გომიამელიისადმი მიძღვნილი . . . . .                                    | 16 |
| 4. 80 წელი შ. ხონელის დაბადებიდან . . . . .                                  | 20 |
| V. შემოქმედებითი საღამოები:  |    |
| 1. მ. ყვარელაშვილის . . . . .  | 21 |
| 2. დ. მაჭავარიანის . . . . .   | 23 |
| 3. ა. ენგელგარტის . . . . .  | 24 |
| VI. ა. კობახიძის ხსოვნის საღამო . . . . .                                    | 25 |
| VII. დიმიტრი შკავია (ნეკროლოგი) . . . . .                                    | 26 |





## СОДЕРЖАНИЕ

|   |    |
|---|----|
| I. Грузинский театр в борьбе за освоение современной темы (передовая) | 3  |
| II. Конференции зрителей  |    |
| 1. в гор. Батуми  | 5  |
| 2. в гор. Зестафони   | 8  |
| III. Грузинская республиканская выставка художников театра и кино     | 9  |
| IV. Юбилейные вечера  |    |
| 1. Горьскому театру 100 лет   | 11 |
| 2. А. Хорава  | 14 |
| 3. В. Годзиашвили   | 16 |
| 4. 80-летие со дня рождения Ш. Хонели                                 | 20 |
| V. Творческие вечера  |    |
| 1. М. Кварелашвили  | 21 |
| 2. Д. Мачавариани   | 23 |
| 3. А. Энгельгардта  | 24 |
| VI. Вечер памяти Пьера Кобахидзе                                      | 25 |
| VII. Дмитрий Мжавия (некролог)  | 26 |

---

Т О Г  
В Е С Т Н И К  
ТЕАТРАЛЬНОГО ОБЩЕСТВА ГРУЗИИ  
(на грузинском языке)

Тбилиси—1965

№ 4 (33)

ფასი 18 კპ.  
Цена 18 коп.

გადაეცა წარმოებას 4|I 1966 წ.

ბელოწერილია დასაბეჭდად 22|I 1966 წ.

ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 2.

48.19/12.

